ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 9 მაისი, 2013 | №108 (6109) | ფასი: 30 თეთრი

თევზაძე-კვიტაშვილს „ცოდვები“ შეახსნეს

9 მაისიდან! „ახალი თაობა“ + ფროიდი 8 ლარი




## დავით უსუფაშვილი: „არსად მითქვამს, რომ ნაციონალებს უნდა ვაპატიოთ“

გვ.3



## ჯონდი ბაღათურია: „ბიზნესს ისევ ნაციონალები აკონტროლებენ“

გვ.2



## რომელი ბიზნესმენები დააშინა დიდმა ხუხაშვილმა

გვ.4

„ხელისუფლების შიგნითაც არის ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ მათი დრო მოვიდა“



## უჩა ნანუაშვილი: „ლაფანყურის სპეცოპერაციისას დალუპულებს ექსპერტიზას დამოუკიდებელი ექსპერტები ჩაუტარებენ“

გვ.3

საია საგანგებო განცხადებას ავრცელებს





## საპრეზიდენტო კანდიდატს ივანიშვილი დაასახელებს

გვ.3

### შსს-მ ცხინვალის ციხიდან 11 ქართველი გაათავისუფლა

შსს–ს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლების მიერ, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების შედეგად, უკანონოდ დაკავებული საქართველოს 11 მოქალაქე გუშინ გათავისუფლდა. გათავისუფლებულთა შორისაა კასპის რაიონის სოფ. საკორინთლოს მკვიდრი ნიკოლოზ სარაული, რომელიც რუსი სამხედროების მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით, 5 მაისს იყო დაკავებული. ნიუსპრესი

## ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით პრეზიდენტი განცხადებას ავრცელებს

გვ.5



7 მაისიდან! „ახალი თაობა“ + საქართველოს ისტორია 10 ლარი




ISSN 1987-9385

7 თევზაძე-კვიტაშვილს „ცოდვები“ შეახსნეს

6 ოფიციალური მონაცემებით, წელიწადში 36 ათასი აბორტი კეთდება

4 ევთოს მისია ლაფანყურის საქმით დაინტერესდა

6 მოკლული ზვიად შამათავას დედა სიმართლის დადგენას ითხოვს

# ჯონდი ბაღათურია: „ბიზნესს ისევ ნაციონალები აკონტროლებენ“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

***— ბატონო ჯონდი, აქტიურად მიდის საუბარი იმის თაობაზე, რომ მმართველ გუნდში განხეთქილებაა. მინისტრების მოხსნაზეც მიდის საუბარი და ეს ყველაფერი ამ დაპირისპირების გამო ხდებაო. როგორია თქვენი, როგორც ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსის თვალით დანახული პროცესები?***

— მინდა ვთქვა, რომ ერთმნიშვნელოვნად ეტყობა ხელისუფლებას, მის შიგნით მიმდინარე დაპირისპირებები. დაპირისპირება არის, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ნიადაგზეც, პოლიტიკური გავლენებისა და ძალაუფლების გაზრდის ნიადაგზეც, თუმცა სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა მიდის ასევე ფინანსური ინტერესებისთვის და ბიზნესების გადანაწილებისთვისაც. არსებობენ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებსაც მთელი ძალისხმევა გადატანილი აქვთ ფულის შოვნაზე. ანგარება და სიხარბე აღმოცენდა, ერთ-ერთი ძლიერი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც ერთმანეთთან დააპირისპირა ქართული ოცნების საპარლამენტო ჯგუფი. შესაბამისად ეს აისახება შემდგომში უკვე საინფორმაციო ველში განხორციელებულ შეტევებში. ერთმნიშვნელოვნად, ცალსახად მინდა გითხრათ, რომ სახელმწიფოს რეალურად მართავს რესპუბლიკური პარტია. ისინი დომინირებენ ყველა ტიპის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და ასევე ისინი გვევლინებიან ნაციონალური მოძრაობის გადარჩენის მთავარ მედროშედ, გადარჩენის — ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით. არა მხოლოდ პოლიტიკური გადარჩენის, არამედ მათთვის იმ ნაქურდალი ქონების შენარჩუნების, რომელიც ამ ბანდამ 9 წლის განმავლობაში ნაწილი სახელმწიფოსგან მიითვისა და ნაწილი კიდევ ხალხისაგან მიითვისა. არც ერთი ბიზნესმენის მაგალითი, პრეცედენტიც კი არ არსებობს, უკვე მერვე თვეა ხელისუფლებაში მოვიდა ქართული ოცნება და რომ ვინმესთვის წართმეული ქონება დაებრუნებინოთ. არც ერთი პრეცედენტი არ არსებობს. რვა თვე ამისთვის საჭირო ნამდვილად არ იყო, რომ რამდენიმე პრეცედენტი შეექმნათ იმისათვის, რომ ბიზნესს თავი ეგრძნო თავისუფლად და ეს ყოფილიყო სიგნალი იმისა, რომ ქვეყანაში დაიწყო სამართლიანობის აღდგენა და კერძო საკუთრებას ვერავინ ვერ შეეხება. არც ერთი ასეთი ფაქტი არ არსებობს. სამაგიეროდ არსებობს პრეცედენტები, როდესაც წილებში ჯდებიან, ნაციონალური მოძრაობის მიერ კონტროლირებად ბიზნესებში. დღეს ნაცმოძრაობა აკონტროლებს ბიზნესების 80%-ს.

***— დღეს ისევ ნაციონალები აკონტროლებენ ბიზნესს?***

— როცა ქართული ოცნება მოვიდა ხელისუფლებაში, მას დახვდა სწორედ ასეთი მდგომარეობა, რომ 80-90%-ს ქართული ეკონომიკისა და ქართული ბიზნესისა აკონტროლებდა ნაციონალური მოძრაობა. ოცნება დადგა ასეთი არჩევანის წინაშე, მათ შეეძლოთ სამართლებრივი გზებით, ძალიან ოპერატიულად და ეფექტურად ემოქმედათ და ეს ნაქურდალი ქონება ამ ბანდისთვის ჩამოერთმიათ, სახელმწიფოსთვის კუთვნილი ქონება სახელმწიფოსთვის დაებრუნებინათ, ხოლო კერძო ადამიანებისაგან წართმეული და ნაქურდალი ქონება, იმ კერძო პირებისთვის, რომლებსაც წაართვეს. თუმცა მათ აირჩიეს მეორე გზა და ნაციონალებთან დავის გარეშე „მშვიდობიანად“ ქონების გადანაწილება. ანუ იმ ბიზნესებში ჩაწილება, რომელსაც ნაციონალები აკონტროლებენ. ეს ხალხი ფიქრობს, რომ ასე გააგრძელებს ცხოვრებას, მაგრამ საზოგადოებაში მწიფდება ძალიან სერიოზული უკმაყოფილება და მინდა გითხრათ, რომ შემოდგომაზე მე ველი ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ პროცესებს, მათ შორის საზოგადოების აქტიობას, ქართული ოცნების ამ ნაწილის წინააღმდეგ. ერთმნიშვნელოვნად ეს ყველას არ ეხება, მაგრამ არიან ასეთი ჯგუფები პარლამენტში და ესენი არ არიან მხოლოდ რესპუბლიკელები. თუმცა რესპუბლიკელებს ძალაუფლება აქვთ ხელში აღებული, რეალურად ყველა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ესენი იღებენ, ამიტომ შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს რესპუბლიკელების ეს აქტიობა არაკეთილსინდისიერი მიმართულებით.

***— ჩვენ დაპირისპირებაზე ვსაუბრობდით და რას იტყვით სოფლის მეურნეობის მინისტრიეს მოხსნის თაობაზე? კირვალიძეც დაპირისპირების მსხვერპლი გახდა? საუბარია, რომ მას საბოტაჟი მოუწყვეს...***

— ახლა მიმდინარეობს გამოძიება, მე ვერ გეტყვით, კირვალიძეს აქვს თუ არა რაიმე დანაშაულში მონაწილეობა მიღებული, მაგრამ ის, რომ პირველივე კორუფციულ სკანდალში რესპუბლიკელები გაეხვივნენ, ჩემთვის გასაკვირი არ არის. სწორედ იმის გამო, რაზეც მე ზევით ვსაუბრობ. ყველაზე აქტიურები ასეთი კორუფციული მიმართულებით, სწორედ ეს ჯგუფი აღმოჩნდა. თუმცა არსებობს კიდევ სხვა ჯგუფი, რომელზეც სრულიად სამარცხვინო ინფორმაციები მოდის. ის, რომ სოფლის მეურნეობის დარგს რესპუბლიკელები აკონტროლებდნენ, ყველასთვის ცხადია. მათ შორის პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარეც არის მათივე კადრი. ამ ხალხმა მათ მიერ კონტროლირებად დარგს ისე კი არ შეხედა, რომ ეს დარგი განევითარებინა და ისე ეჩვენებინა თავისი უპირატესობამ, არამედ შეხედა სოფლის მეურნეობას, როგორც მისთვის კუთვნილ ტორტის ნაჭერს. ეს საყვარელი სიტყვაა ლევან ბერძენიშვილის, ჰოდა, მიადგნენ ამ ტორტის ნაჭერს, ჭამეს და დაღრღნეს. ახლა კირვალიძეზე რა გითხრათ, მე ვიცი, რომ ამ კაცმა თავისი საქმე მართლაც კარგად იცის და არ მაქვს ინფორმაცია, ის არის თუ არა ჩართული ამ მაქინაციებში, ამიტომ ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. ასევე ვერაფერს ვიტყვი იმ ადამიანებზე, ვინც დაკავებულები არიან, რადგან არ ვიცი, რამდენად სწორად არიან დაკავებულები, მაგრამ ის, რომ სოფლის მეურნეობას, როგორც საკუთარ ტორტის ნაჭერს უყურებდნენ რესპუბლიკელები, ეს ყველამ ვიცით და მათგან კონტროლირებადია და სწორედ იქ მოხდა პირველი კორუფციული სკანდალი. იმდენად, ხარბი და ანგარებიანი აღმოჩნდა ნაწილი ჩვენი პოლიტიკოსებისა, რომ მე ველოდები, ასეთი სკანდალები შემდგომში კიდევ იქნება.

***— საუბარია იმის შესახებ, რომ ამ ინციდენტით ხმალაძეს პრეზიდენტობის შანსი მოესპოო..***

— მოდით, ჯერ ის განვიხილოთ, ხმალაძეს რა შანსი ჰქონდა პრეზიდენტობის და შემდეგ შესაძლოა ეს შეკითხვა აღარც დაისვას. რამდენად ჰქონდა წარსულში შანსი და რამდენად შეუმცირა პრაქტიკულად არარსებული შანსი ხმალაძეს ამ სკანდალმა. მე არ ვეთანხმები ამ აზრს და არც იმას ვეთანხმები, რომ რესპუბლიკელებს ეს ვინმემ გაუჩალიჩა. რესპუბლიკელებმა უბრალოდ ვერ მოზომეს და დიდ შარში გაეხვივნენ, ასეთები კიდევ ბევრი ამოტივტივდება. მათ მადა ყოველთვის დიდი ჰქონდათ და ახლა ჩათვალეს, რომ ამ მადის დაკმაყოფილების შესაფერისი დრო და მომენტი დადგა. ეს მათი მთავარი სტრატეგიული შეცდომა იყო.

***— რამდენად უარყოფით დამოკიდებულებას გამოიწვევს ეს საზოგადოებაში, მით უმეტეს, რომ ქვეყნის მეორე პირი რესპუბლიკელია და ეს პარტია პრემიერის ფავორიტ პარტიად ითვლება?***

— ამ პარტიის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება წლების განმავლობაშია ცნობილი, რომ საზოგადოების 97%-ს ეს პარტია არ მოსწონს. დაახლოებით 80% კი აგრესიით უყურებს ამ პარტიას. ივანიშვილის მთავარი შეცდომა ჩემის აზრით სწორედ ეს იყო, რომ ნულპროცენტიან პარტიას ქვეყნის სადავეები ჩააბარა. ეს იყო ერთგვარი უპატივცემულობა საზოგადოებრივი აზრის მიმართ და საზოგადოების მიმართ. ხალხმა ეს გაატარა, იმიტომ, რომ მისცა ზოგადად ხელისუფლებას ივანიშვილის ხათრით კიდევ ერთი შანსი, იქნებ რაიმე გვეშლება და ასე არ არისო, მაგრამ რესპუბლიკელებმა საბოლოოდ აჩვენეს საკუთარი სახე და აჩვენეს ის, რომ საზოგადოების შეხედულება ამ პარტიის მიმართ, იყო პრინციპულად სწორი. პრაქტიკულად მე არ ვიცნობ რესპუბლიკელების მომხრეებს ცალკეული პირების გარდა. მე ვფიქრობ, მოხდება განზოგადება და საზოგადოების ეს უკმაყოფილება მთლიანად ხელისუფლებაზე გადავა.



***— თუ ვინ იქნება ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი, დღეს ეს საკმაოდ აქტუალური თემაა. ახლოვდება არჩევნები, საუბარია, რომ პრემიერი რამდენიმე დღეში დაასახელებს პრეზიდენტობის კანდიდატს. თქვენი აზრით, ვინ იქნება ოცნების კანდიდატი და ოპოზიცია თუ შეძლებს მისი საპირწონე კანდიდატის დასახელებას?***

— ოცნება ვის დასახელებასაც აპირებს, ეს ინფორმაციები ჟონავს, რა თქმა უნდა, მაგრამ რატომ ჩავერიოთ ოცნების არჩევანში, მოდი, დაასახელონ თვითონ. მე შემიძლია გითხრათ ის, რომ დღეს სახელმწიფოს განვითარების, ქვეყნის განვითარების ინტერესებში შედის ის, რომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გაიმარჯვოს ოცნებისა და ნაციონალების კანდიდატებმა. ნაციონალების კანდიდატი პრაქტიკულად გამორიცხეთ. მისი აღებული ხმები ვერ ასცდება სულ რამდენიმე პროცენტს 2-3%-ს, თუ არადა, ამაში დარწმუნდები. რჩება ოცნება, რომლის რეიტინგი, მიუხედავად იმისა, რომ დიდ დანაკარგებს განიცდის რესპუბლიკელებისა და სხვა პარლამენტის ანგარებიანი წევრების გამო, მაინც რეიტინგი და ავტორიტეტი აქვს ბიძინა ივანიშვილს და კარგია, რომ ამ ავტორიტეტს ინარჩუნებს და მათი კანდიდატურა იქნება სერიოზული. თუ ვინმეს რაიმე ესმის დემოკრატიის, ის აუცილებლად მიხვდება, რომ დღეს სახელმწიფოს ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ ვერ გაიმარჯვოს ოცნების კანდიდატმა და გაიმარჯვოს ოპოზიციურ ძალთა მიერ შეთავაზებულმა კანდიდატმა, რომელი ძალებიც თავისი გაერთიანებით ქართველ საზოგადოებას შესთავაზებენ ქვეყნის განვითარების და საზოგადოების განვითარების მესამე გზას, განსხვავებულ გზას, რომელიც იქნება უფრო გასაგები ქართველი საზოგადოებისთვის და იქნება უფრო სამართლიანი, უფრო ეროვნული და უფრო სოციალურად ორიენტირებული.

***— თუ გყავთ სავარაუდო კანდიდატი?***

— აი სწორედ ასეთი კანდიდატის დასახელებისთვის და მესამე გზის შეთავაზებისთვის ვემზადებით ჩვენ, ქართულ დასში. გვაქვს კონსულტაციები კოლეგებთან, ვისთანაც შესაძლებლად ვთვლით თანამშრომლობას ამ საკითხებზე და ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის. მაქვს ძალიან დამაიმედებელი სიგნალები ჩვენი კოლეგებისგან, გამომდინარე იქიდან, რომ ისინიც აცნობიერებენ ამ გარდაუვალ აუცილებლობას, რომ აუცილებლად უნდა დავამარცხოთ ჩვენ ოცნების მიერ წამოყენებული კანდიდატი. მესამე ძალამ უნდა გააკეთოს ეს, რაც რეალურად საპრეზიდენტო არჩევნებს გადააქცევს მესამე გზის, რეალური გზის პრეზენტაციად და შეძლებს უკვე დააბალანსოს ხელისუფლება, რაც აუცილებლად განაპირობებს ხელისუფლებაში მოკალათებული ანგარებიანი პირების მადის ალაგმვას.

***— გამოდის, რომ ოპოზიციას ეყოლება ერთი კანდიდატი და არა რამდენიმე?***

— იცით რა მესამე ძალას უნდა ყჰავდეს ერთი კანდიდატი. კანდიდატები, გარწმუნებთ, იქნება კონა ათ შაურად, რადგან ვიცით, როგორია ჩვენი პრაქტიკა. თუმცა რეალური კანდიდატი, ოცნების რეალური კანდიდატის გარდა და კონკურენტული კანდიდატი უნდა იყოს ერთი და ეს კანდიდატი უნდა იყოს იმ პოლიტიკური ძალების მიერ შეთავაზებული, ქართველი საზოგადოებისთვის, რომლებიც კანდიდატის გარდა საზოგადოებას შესთავაზებენ ქვეყნის განვითარების მესამე გზას. უნდა განვმეორდე, უფრო სამართლიანს, უფრო ეროვნულს და უფრო სოციალურად ორიენტირებულს. აი, სწორედ ეს იქნება ქვეყნის განვითარების შანსი. თუ მოხდა ისე, რომ გაიმარჯვა ოცნების კანდიდატმა, ან, ვთქვათ, ვერ მოხერხდა ჩვენს კოლეგებთან მოლაპარაკება, რა მოლაპარაკებებიც ახლა მიმდინარეობს, ასეთ შემთხვევაში იცოდეთ, რომ შემოდგომიდან ჩვენ გველოდება ხანგრძლივი სტაგნაციის პერიოდი. სტაგნაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში, სტაგნაცია სოციალურ პოლიტიკაში, სტაგნაცია ქვეყნის დემოკრატიულ და პოლიტიკურ განვითარებაში. იმიტომ, რომ რეალურად მივიღებთ იმავე შედეგს, როგორიც გვქონდა შევარდნაძის დროს, როცა შევარდნაძე იყო ყველაფერი ამ ქვეყანაში. როგორიც გვქონდა სააკაშვილის დროს, როცა სააკაშვილი იყო ყველაფერი ამ ქვეყანაში, მათ შორის მთავარი არქიტექტორიც, მხატვარიც, ექიმიც, დანტისტიც და ასე შემდეგ. ასეთივე მდგომარეობას მივიღებთ, განსხვავება იქნება მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად განსხვავდება თავისი მორალითა და ზნეობით სააკაშვილისაგან. ეს განსხვავება იქნება, მაგრამ რატომ უნდა დავკიდოთ ჩვენ ჩვენი სახელმწიფო აი, ამ განსხვავებაზე და ერთი ადამიანის კეთილ ზნეზე?! ასევე მინდა ერთი რამ გითხრათ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ივანიშვილი ვერ იღებს, ან არ იღებს გადაწყვეტილებებს, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც ქვეყნის განვითარებას ხელს შეუწყობდა. ამ გადაწყვეტილებებს იღებს ჯერჯერობით რესპუბლიკური პარტია. ეს ყველაფერი საფრთხეს უქმნის ქვეყნის განვითარებასაც ასევე ივანიშვილის ძალაუფლებასაც. შენ თუ ვერ ახერხებ იმ ძალაუფლების განხორციელებას, რომელიც კონსტიტუციით გაქვს მონიჭებული და რეალურად სხვა მართავს პროცესებს, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ შენ კარგავ ძალაუფლებას და რაც მთავარია, სახელმწიფო არ ვითარდება.

***— დღეს ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ არ გარისკავს ივანიშვილი და პრეზიდენტის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას დაასახელებსო, ეს რამდენად რეალურად გეჩვენებათ?***

— არა, ამაში ვერავის დავეთანხმები. დღეისათვის პრეზიდენტის პოსტი, ფაქტიურად უფუნქციო პოსტია. ეს იქნება მნიშვნელოვანი შეცდომა ივანიშვილის მხრიდან, რადგან ეს ნიშნავს რეალური ძალაუფლების დაკარგვას. ასევე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან მისდამი ნდობის დაკარგვას, იმიტომ, რომ ნდობა იკარგება არა მარტო იმით, რასაც სააკაშვილი სჩადიოდა, არა მარტო არგაკეთებული საქმეებით, არამედ ვერგაკეთებული საქმეებითაც. ივანიშვილს ხალხმა მხარი დაუჭირა იმის გამო, რომ ენდო მას. ირწმუნა, რომ მას შეეძლო იმ რეფორმების გატარება, რომელზეც ის საუბრობდა. ახლა მან რომ პრეზიდენტის უფუნქციო პოსტზე გადაინაცვლოს, ეს იქნება მნიშვნელოვანი შეცდომა და არ მგონია, რომ მან ეს შეცდომა დაუშვას.

## შსს–ში ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორთან შეხვედრა გაიმართა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გუშინ ოფიციალური ვიზიტით, ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი — რობერტ მიულერი ეწვია.

სამინისტროში გამართულ შეხვედრას საქართველოში აშშ-ს ელჩი — რიჩარდ ნორლანდიც დაესწრო. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს, მათ შორის, სამართალდამცავ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხიც. ქართულმა მხარემ ამერიკელ სტუმრებს სამინისტროში გატარებული და დაგეგმილი რეფორმები გააცნო.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# უჩა ნანუაშვილი: „ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაღუპულებს ექსპერტიზას დამოუკიდებელი ექსპერტები ჩაუტარებენ“

## საია საგანგებო განცხადებას ავრცელებს

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპული სამი ჩეჩენის ცხედრის ექსჰუმაცია მოხდა. გამომძიებლებმა დუისის სასაფლაოდან ექსპერტიზისთვის დაღუპულების – ასლან მარგოშვილის, სალამ ზაურბეკოვის და ბაჰაუდინ ბალაკაშვილის ცხედრები ამოიღეს. სპეცოპერაციის დროს დაღუპული სხვა პირების საფლავს საგამოძიებო ჯგუფი მომდევნო დღეებში გახსნის.



ჩეჩნები მიცვალებულთა ექსჰუმაციას როგორც წესი არ თანხმდებიან. ეს გამონაკლისი სიმართლის დასადგენად დაუშვეს. ექსპერტთა ნაწილი შიშობს რომ შესაძლოა ექსჰუმაციამ შედეგი არ გამოიღოს.

ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპულების ცხედრების ექსპერტიზას დამოუკიდებელი ექსპერტიც ჩაატარებს. დამოუკიდებელ ექსპერტებთან მოლაპარაკებებს დაღუპულების ახლობლების მიმართვის საფუძველზე, სახალხო დამცველი მართავს.

როგორც „ინტერპრესნიუსი“ გვაცნობებს , სახალხო დამცველის აპარატს მოლაპარაკებები უკვე დაწყებული აქვს და დამოუკიდებელი ექსპერტი საქმეში უახლოეს საათებში ჩაერთვება.

– აქ საუბარი არ არის ოფიციალური ექსპერტიზის უნდობლობაზე. საუბარია იმაზე, რომ ასევე დამოუკიდებელი წარმომადგენელი იყოს ჩართული, რათა მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს ეს პროცესი. ამ მიზნით, ჩვენ დავუკავშირდით და პროცესში ერთ-ერთი ექსპერტი უახლოეს საათებში ჩაერთვება, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისი თქმით, არც დაღუპულების ოჯახის წევრებისთვის და არც სახალხო დამცველისთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ჩატარდა თუ არა ცხედრების ექსპერტიზა ყოფილი ხელისუფლების პირობებში.

– მე არ შემიძლია რაიმე განცხადება გავაკეთო ამასთან დაკავშირებით. შეიძლება ჩატარდა, მაგრამ გამქრალია ექსპერტიზის შედეგები, ან საერთოდ არ ჩატარდა. ორივე ვერსია დასაშვებია, – განაცხადა ომბუდსმენმა.

ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. საია მიიჩნევს, რომ 2012 წლის 28 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის საქმეზე ამჟამად მიმდინარე გამოძიება არ აკმაყოფილებს ობიექტური, ეფექტური და დამოუკიდებელი გამოძიების მოთხოვნებს და საგამოძიებო ორგანოებს ხარვეზების დროულად გამოსწორებისკენ მოუწოდებს.

როგორც საია-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საია იცავს ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად და-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# დავით უსუფაშვილი: „არსად მითქვამს, რომ ნაციონალებს უნდა ვაპატიოთ“

შორენა მარსაგიშვილი

**ბოლო ხანებში პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის რეიტინგმა მნიშვნელოვნად მოიმატა. მისი რეიტინგი კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, ნაციონალებზე ასე თბილად და ტკბილად რომ არ ელაპარაკა.**

**დავით უსუფაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ ნაციონალების შენარჩუნება ქართული დემოკრატიისთვის აუცილებელია. მერე პარლამენტის სპიკერმა ისიც თქვა, რომ ოცნება მზადაა ნაციონალებს მიუტევოს. ამან საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ყველამ კარგად ვიცით, რომ მეოცნებეებს ხალხმა ხმა სამართლიანობის აღდგენისთვის მისცა და არა ნაციონალთა მისატევებლად.**

ჟურნალისტებთან შეხვედრისას დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მას არასოდეს უთქვამს, ახალი ხელისუფლება მზადაა, ყველა ყოფილი საჯარო მოხელის დევნა შეწყვიტოს. სპიკერის მტკიცებით, ამასთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია ერთ-ერთმა სააგენტომ გაავრცელა.

– არის კამპანიური ხასიათის ამბები, თითქოს ახალი ხელისუფლება არ აპირებს დამნაშავეების დასჯას და იმაზე, რაც მოხდა, ნელ-ნელა ჩავიქნევთ ხელს. ამის თაობაზე ბევრი არასწორი ინტერპრეტაციაც ხდება მედიაში. მე აღმოვჩნდი ერთ-ერთ ასეთ სიტუაციაში. მახსოვს, რომ მსგავს თემაზე თვეზე მეტია არ მისაუბრია. არადა, დამიდეს დოკუმენტი, სადაც წერია, რომ მე ეს ვთქვი. არ დავასახელებ, რომელმა სააგენტომ გამოაქვეყნა ეს. ამ ინფორმაციის თანახმად, მე ვამბობ, რომ ხელისუფლება მზადაა, ყოფილი საჯარო მოხელეების დევნა შეწყვიტოს. ეს ინფორმაცია 30 აპრილით გამოქვეყნდა. ვინაიდან ასეთი რამ არ მისაუბრია, დავიწყე გარკვევა, რაში იყო საქმე და აღმოვაჩინე, რომ ამ სააგენტოს სხვა სააგენტოსგან აუღია 2012 წლის 29 დეკემბერს ჩემ მიერ საჯარო მოხელეების ამნისტიის შესახებ გაკეთებული სხვა განცხადება და დაუწერია სრულიად სხვა კონტექსტში, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის სპიკერს გუშინ სკანდალურ კადრებზეც მოუწია საუბარი. 3 მაისს გავრცელებული კადრები დიდი მითქმა-მოთქმის მიზეზი გახდა. ეს საქმე შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პირად კონტროლზე აიყვანა.

სხვების მსგავსად, დავით უსუფაშვილი პირადი საიდუმლოების და პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების განსაჯაროების კატეგორიული წინააღმდეგია.

– ვინც სხვისი ცხოვრების დეტალებს გაახმაურებს, აუცილებლად პასუხი უნდა აგოს. ის, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების დეტალების გახმაურება არ შეიძლება, ზნეობისა და მორალის დონეზე უნდა გავითავისოთ. რატომ არ მივდივართ და ადამიანებს არ ვკლავთ? ან რატომ არ ვქურდობთ? – იმიტომ, რომ ამისთვის კონკრეტული სასჯელია გათვალისწინებული?! არა, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ზნეობის და მორალის დონეზე გვაქვს გათავისებული. ასე უნდა მოხდეს ამ შემთხვევაშიც. რთულია, როდესაც ვსაუბრობთ, რა შეიძლება გავიდეს ტელეეკრანსა თუ ინტერნეტსივრცეში. მედიის რეგულირების ნაწილში რთულია იმის განსაზღვრა, რა შეიძლება იყოს მედიის მონაპოვარი და რა – არა. ამ მხრივ საჯარო ორგანოების ნაწილში ბევრია მოსაგვარებელი. კანონმდებლობა ისეა ფორმულირებული, რომ ბოროტი განზრახვის მქონე გამომძიებელს ყველაფრის საშუალებას აძლევს. ეს გასასწორებელია და აუცილებლად გასწორდება. ეს კანონმდებლობა მემკვიდრეობით მივიღეთ და ამის გამოსასწორებლად ვმუშაობთ, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

3 მაისს გავრცელებულმა კადრებმა მეოცნებეებიც აღაშფოთა. დეპუტატ ელისო ჩაფიძის აზრით, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად ხელისუფლებამ შესაძლოა ინტერნეტ-სივრცის კონტროლი დააწესოს. ამ საკითხს დავით უსუფაშვილი სხვანაირად უყურებს.

– ინტერნეტის გაკონტროლება შეუძლებელია და გარდა ამისა, წინასწარი ცენზურითა და ინტერნეტის აკრძალვით პრობლემა ვერ მოგვარდება, – ამბობს სპიკერი.

გუშინ საპარლამენტო უმცირესობამ კიდევ ერთ საკითხზე ატეხა განგაში. უმცირესობის წარმომადგენლების ინფორმაცია გმინავს იმის გამო, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის საკითხი ევროსაბჭოს მინისტერიალის დღის წესრიგში შეტანილი არ არის.

უსუფაშვილის განმარტებით ამაში საგანგაშო არაფერია. მისი თქმით, ევროპული სტრუქტურები მუშაობენ დღის წესრიგით, რომელშიც საქართველოს თემა ხან არის, ხან – არა. ის გვარწმუნებს, რომ საქართველოს პოზიციები არ



შესუსტდება.

– უმრავლესობა მონდომებული და მოწადინებულია, რომ საქართველო საგარეო ასპარეზზე ერთიანი პოზიციით წარდგეს, ქვეყნის შიგნით არსებული დაპირისპირების მიუხედავად. სამწუხაროდ, ამაზე საუბარი კიდევ გვიწევს. გვიწევს იმიტომ, რომ ეს არის ანბანური ჭეშმარიტება. საქართველოს წარმოადგენს ის ხალხი, ვინც ევროსაბჭოს სტრუქტურებში დელეგაციების ეგიდით მუშაობს, ამიტომ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ჩვენ ყველა ერთნი უნდა ვიყოთ. ვისაც მიგვაჩნია, რომ ვართ საქართველოს მოქალაქეები, ვისაც მიგვაჩნია, რომ ოკუპაცია უნდა დასრულდეს, ძალისხმევა უნდა მივმართოთ აქეთ. ამასობაში, ჩვენი მთავარი პრობლემა – რუსეთი ცდილობს თავისი პოზიციების ლობირებას, მაგრამ რაიმე შავი ღრუბლის ნატამალიც კი, რომელიც საქართველოს პოზიციების შესუსტებას უქადის, ან კონფლიქტის თაობაზე რაიმე გადაიხედება, ან ოკუპაციაზე ვინმეს აქვს განსხვავებული აზრი, არ არსებობს და ვერც იარსებებს – იმდენად მყარია საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

უსუფაშვილმა დეპუტატ გივი თარგამაძის შანსებზეც ისაუბრა. საპარლამენტო უმცირესობამ თავისი კვოტით ის წარადგინა პარლამენტის ნდობის ჯგუფში. მეოცნებეები ამ კანდიდატურისთვის მხარის დაჭერას არ აპირებენ. ნაციონალები კი კანდიდატურას არ შეცვლიან.

გივი თარგამაძეზე, მოგეხსენებათ, რუსეთს ძებნა აქვს გამოცხადებული. საქართველოს ხელისუფლება მის გადაცემას არ აპირებს. ამ მხრივ ლიტვამაც მაგრად „უჯიგრა“ ქართველ ჩე გევარას. თარგამაძე ლიტვაში იყო წასული. რუსეთმა მათგან მოითხოვა ძებნილის გადაცემა, მაგრამ უარი მიიღო. ეს ამბავი, ბუნებრივია, უსუფაშვილმაც იცის. ამის მიუხედავად, ის და უმრავლესობა თარგამაძეს მაინც არ ენდობა.

– როგორც მე ვიცი, გივი თარგამაძეს გადაადგილებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აქვს, რის გამოც, შესაძლოა, საქართველოში ჩამოსვლა ვერ შეძლოს. ამიტომ, ჯერ რეალური გივი თარგამაძის აშენებული ქვეყანა ხომ ვნახეთ და ახლა ვირტუალურის აშენებული როგორ წარმოგიდგენიათ?! – მიმართა ჟურნალისტებს უსუფაშვილმა.

სპიკერმა ისიც გვამცნო, რომ პარლამენტის მიერ ვეტოდაძლეული „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი ძალაში 15 მაისამდე შევა.

მისი თქმით, პროექტი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სამუშაო მაგიდაზეა და მას კანონპროექტზე ხელის მოსაწერად ვადა 15 მაისამდე აქვს.

– თუ 15 მაისამდე პრეზიდენტი კანონპროექტს ხელს არ მოაწერს, ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის თანახმად, პროექტს ხელს მე მოვაწერ. კანონი კი ძალაში ყველაზე გვიან 16-17 მაისს შევა, – განაცხადა სპიკერმა.

ცოტა ხნის წინ გიორგი ფარესაშვილმა განაცხადა, რომ მას მტკიცებულებები აქვს გია ხუხაშვილის მიერ ბიზნესის დატერორების შესახებ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ თუ ვინმეს ბიზნესზე ზეწოლასთან დაკავშირებით რეალური ფაქტები აქვს, უნდა გაასაჯაროოს. როგორც ჟურნალისტებს უსუფაშვილმა განუცხადა, ახლა აღარ არის ის დრო, როცა სიმართლის თქმისთვის ადამიანები ისჯებოდნენ.

– კონკრეტული ფაქტებითა და საბუთებით უნდა ვისაუბროთ. ბიზნესთან დაკავშირებით, ყველას ვურჩევ, რომ თუ ვინმეს რეალური ფაქტები აქვს, ეს წარმოადგინოს და გაასაჯაროოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სახის ჭორებს ვერ გავუმკლავდებით, – აცხადებს სპიკერი.

უსუფაშვილის განცხადებით, მაისის ბოლომდე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნება და რამდენიმე საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის ინიცირებაც უახლოეს მომავალში მოხდება.

მისი თქმით, 2010 წელს ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული საკონსტიტუციო მოდელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა ძალაში.

– მანამდე ცოტა დროა და ფუნდამენტური ცვლილებები ამ მოდელის ვერ მოხდება, ეს არასერიოზული იქნება. თუმცა, მანამდე შესაძლებელია, რომ მოხდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილების ინიცირება. თვის ბოლომდე შესაძლებელია შეიქმნას სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც იმუშავებს, რომ საქართველოს ჰქონდეს გამართული კონსტიტუცია, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში იქნებიან არა მხოლოდ პარლამენტის წევრები, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები.

სპიკერმა გუშინ ირაკლი ალასანიაზეც ისაუბრა. თავდაცვის მინისტრს ქვეყნის მოწყობაზე სხვა მეოცნებეებისაგან განსხვავებული პოზიციები აქვს. ის ძლიერ პრეზიდენტს უჭერს მხარს.

უსუფაშვილის შეფასებით, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია „იძულებულ-ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს იმ ვითარებას, რომ ქვეყნის ახალი პრეზიდენტი ვერ იქნება საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის მაგვარი.

– ქვეყნის მოწყობის მოდელთან დაკავშირებით შეხედულებები და თემები ძალიან მარტივად წყდება, თუ ადამიანებს საერთო საქმე აერთიანებთ. რაც შეეხება საკონსტიტუციო მოდელს, ბევრს გახსოვთ, რომ ირაკლი ალასანია, რომელიც იყო პოპულარული და დამსახურებული საჯარო მოხელე, პოლიტიკაში გამოჩნდა დავით გამყრელიძესთან და ჩემთან ერთად, როდესაც ჩვენ შევქმენით „ალიანსი საქართველოსთვის“. ასე რომ, ირაკლისთან მსგავს თემებზე საუბარი მომიწია ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერეოდა. ამ საკითხში ჩვენ გვაქვს სრული ურთიერთგაგება. ვიცით, რომ გვაქვს განსხვავებული დამოკიდებულებები, მაგრამ ვიცით ისიც, რომ კონკრეტული რეალობიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე, შეგვიძლია კომპრომისებით სიარული. ამის მაგალითია ის, რომ ალასანია ალიანსის დროს ჩვენი მხრიდან გამოცხადებული იყო საპრეზიდენტო კანდიდატად. ოქტომბრიდან ძალაში შედის, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილისთვის გამზადებული საკონსტიტუციო მოდელი – ძლიერი პრემიერი და შედარებით სუსტი პრეზიდენტი, მაგრამ აქაც ცხოვრება სხვანაირად წავიდა და იმ სავარძლებში, შეიძლება, სხვა ადამიანები აღმოჩნდნენ, ვიდრე წინა ხელისუფლებას ეგონა. შექმნილ სიტუაციაში ირაკლი ალასანია იძულებულ-ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს იმ ვითარებას, რომ ახლა ის პრეზიდენტი, რომელიც იქნება არჩეული, ვერ იქნება საპრეზიდენტო რესპუბლიკის მაგვარი პრეზიდენტი. ამიტომ არ იქნება სწორი, რომ ის ამ პროცესს გაერიდოს. ეს შეხედულებები და ეს თემები ძალიან მარტივად წყდება, თუ ადამიანებს აერთიანებთ საერთო საქმე და თუ დინამიკაში განვიხილავთ ყველაფერს. რესპუბლიკური პარტიის ამოცანად კლასიკური საპარლამენტო მმართველობის მიღება რჩება. ამ მოდელის შემთხვევაში არის მრავალპარტიული სპექტრი ქვეყანაში, სადაც ერთ რომელიმე პარტიას უჭირს 50-%-ის მოგროვება. შესაბამისად, მონსტრები აღარ დაიბადებიან და ასე უსახელოდ აღარ დაიღუპებიან, – დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მეოცნებეები თავიანთი საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელებას ორშაბათისთვის აპირებენ. დავით უსუფაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა ვახტანგ ხმალაძეზე, „რესპუბლიკური პარტიის“ საპრეზიდენტო კანდიდატი ხმალაძე და არც სხვები არ იქნებიან.

მისივე თქმით, რესპუბლიკურ პარტიას საერთოდ საპრეზიდენტო კანდიდატი არ ეყოლება და ამ გადაწყვეტილების მიღებას კოალიციის პოლიტსაბჭოს ანდობენ.

– ამ კონკრეტულ საკითხში ჩვენ ვართ მთლიანად კოალიციურ რეჟიმში. „რესპუბლიკელები“ გადაწყვეტილებას ერთიანი პოზიციით მივიღებთ. კოალიციის პოლიტსაბჭო უახლოეს მომავალში იმსჯელებს. ეს იქნება ჩვეულებრივი, შიდა პარტიული წესით. ჩვენ არ მივეცით თავს უფლება, რომ გვესაუბრა საჯაროდ, ვინ ვისი ფავორიტია, რადგან ეს არ იქნებოდა სერიოზული. ვინც არ უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი, „ქართული ოცნების“ კანდიდატს კონკურენციას ვერ გაუწევს, – ამბობს უსუფაშვილი.

# რომელი ბიზნესმენები დააშინა დიდმა ხუხაშვილმა

## „ხელისუფლების შიგნითაც არის ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ მათი დრო მოვიდა“

შორენა გონგლაძე



საპარლამენტო უმცირესობის მორიგ სამიზნეს ამჯერად რუხ კარდინალად წოდებული გია ხუხაშვილი წარმოადგენს. დღემდე ხუხაშვილის მისამართით გამოთქმული ბრალდებები ზოგადი ხასიათის იყო, ბრალმდებლებიდან ვერც ერთი ვერ აკონკრეტებდა იმას, თუ რომელი ბიზნესმენი შეაშინა დიდმა ხუხამ, ან ვის რამდენი და რატომ შეაწერა. როგორც ჩანს, ნაციონალები გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ნადირაშვილმა ცოტა ხნის წინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე პრემიერის მრჩეველი ბიზნესრეკეტში დაადანაშაულა. ირმა ნადირაშვილის ინფორმაციით, ხუხაშვილის მსხვერპლი ამჯერად სარეკლამო კომპანია უტდოორ.გე-ს არის, მისი თქმით, ხუხაშვილი ამ კომპანიის გიორგი ღამბაშიძეზე გადაფორმებას ცდილობს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო კამპანიაშიც მონაწილეობდა.

– გია ხუხაშვილის მსხვერპლი არის სარეკლამო კომპანია ოუტდოორ.გე. სერიოზული ზეწოლა მიმდინარეობს, რომ ეს კომპანია, რომელიც არის მილიონერ დავით იაკობაშვილის, გადაფორმდეს ვინმე გიორგი ღამბაშიძეზე. გიორგი ღამბაშიძე არის რუსული კომპანია „ნიკოლოემის“ დირექტორთა საბჭოს წევრი. ის სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოში. მონაწილეობდა სხვადასხვა საარჩევნო კამპანიებში, კერძოდ, უფრო ინტენსიურად შევარდნაძის დროს და მან ასევე მონაწილეობა მიიღო ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო კამპანიაშიც. რამდენიმე თვის წინ, გია ხუხაშვილის დავალებით, გიორგი ღამბაშიძე არაოფიციალურად ჩასვეს უტდოორ.გე-ში. დღეს ხუხაშვილის სურვილია, რომ ეს კომპანია მთლიანად გადავიდეს მის მფლობელობაში და გადაფორმდეს ღამბაშიძეზე. ამ კომპანიის მფლობელებს შეუთვალეს, რომ ისინი მზად არიან გადაიხადონ ამ ბიზნესში 2 მილიონი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს კომპანია გამოიმუშავებს ამ თანხას, ანუ „პოსლეზე“ გადაუხდიან თანხას. ამ კომპანიის საბაზრო ფასი კი არის 10-12 მილიონი ლარი“, – აღნიშნა ნადირაშვილმა.

გია ხუხაშვილმა ნაციონალების ბრალდებებს გუშინ პრაიმტაიმის პრეს-კლუბიდან გასცა პასუხი.

ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა „საქართველოს რკინიგზას“ 10 მილიონი დოლარი თავისი სურვილით დაუბრუნა, რადგანაც მას არ სურს წინა ხელისუფლების კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა.

ხუხაშვილის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რკინიგზის გადაზიდვებიდან 10 მილიონი დოლარი ე.წ. ბიზნესის მეშვეობით ხვდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მოლარის დავით კეზერაშვილის სალაროში“.

ეს იყო დალაგებული სქემა, რომლის მიხედვითაც რკინიგზის გადაზიდვებიდან 10 მილიონი დოლარი ხვდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ სალაროში. მე მქონდა შეხება იმასთან, რომ მომხდარიყო ამ რესურსის შემობრუნება. საქართველოში ბიზნესი იქნება დაცული და საქართველოში ზეწოლა არავისზე არ განხორციელდება“, – აცხადებს ხუხაშვილი და ამბობს, რომ ის ბევრი რამის განსაჯაროებას არ გეგმავდა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ამაზე თვითონ დაიწყეს საუბარი.

ხუხაშვილის თქმით, მას არავითარი კავშირი კომპანია „ოუტდოორ.გე.-სთან არ აქვს.

– მე არ ვაპირებდი ბევრი რაღაცის განსაჯაროებას, მაგრამ რადგანაც თვითონ დაიწყეს საუბარი, იძულებული ვარ იმ სქემებზე ვილაპარაკო, რაც მუშაობდა წინა ხელისუფლების პირობებში. არ მინდა, რომ ეს პოლიტიკაში გადავიდეს, რადგანაც წინა ხელისუფლების კორუფციულ გეგმებზე რომ ვილაპარაკოთ, ამან სერიოზული რყევები შეიძლება გამოიწვის. ქირურგიულ ვითარებაში მისი გაწმენდა არ არის შეუძლებელი და ამიტომაც გვიწევს თერაპიულად ამ ყველაფრის გაჯანსაღება და გასწორება. ამის გამო მე პიროვნულად ვზარალდები და ეს ყველაფერი ძალიან მძიმეა, მაგრამ რა ვქნა, – აცხადებს ხუხაშვილი და დასძენს, რომ შესაძლოა ხელისუფლების შიგნითაც იყვნენ გარკვეული პირები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ახლა მათი დრო მოვიდა.

– ამ ყველაფრის სამიზნე საბოლოო ჯამში არის პრემიერი და ხელისუფლება. მე ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლების შიგნით რაღაც კომბინაციები თამაშდება, მაგრამ ძალიან ბევრი ფიქრობდა, რომ ახლა მათი დრო დადგა და ეს ბიზნესები სწორედ მათ უნდა ჩაეგდოთ ხელში, – აცხადებს ხუხაშვილი.

# უჩა ნანუაშვილი: „ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაღუპულებს ექსპერტიზას დამოუკიდებელი ექსპერტები ჩაუტარებენ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ღუპული – ასლან მარგოშვილის, ბაჰაუდინ ალდამოვის, ბაჰაუდინ ბალაკაშვილის, სალამ ზაურბეკოვისა და ასევე, პოლიციის მაიორის არჩილ ჩოხელის ოჯახის წევრების ინტერესებს. გარდაცვლილი პირების ახლო ნათესავების სახელით, 2012 წლის დეკემბრიდან საია ინტენსიურ წერილობით კომუნიკაციას აწარმოებს გამოძიებასთან, თუმცა, ჩვენს მიერ წარდგენილი მნიშვნელოვანი შენიშვნები და მოსაზრებები გამოძიებას არ გაუზიარებია.

– გამოძიების პროცესში ამ დრომდე პრობლემური რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა, საქმის სათანადო კვალიფიკაცია, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და დაზარალებულთა პროცესუალური უფლებების დაცვა. კერძოდ: გამოძიების მიერ საია-სთვის წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად მიმდინარეობს, რომელიც მძევლად ხელში ჩაგდების შემადგენლობას ითვალისწინებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მიერ ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას მოჰყვა შეიარაღებული დაჯგუფების წევრების სიცოცხლის ხელყოფა, არსებითია გამოძიების ფარგლებში შეფასდეს სამართალდამცავი პირების მიერ ლეტალური ძალის გამოყენების აუცილებლობა, მართლზომიერება და პროპორციულობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, სახელმწიფო ვალდებულია ჩაატაროს ეფექტური და ოფიციალური გამოძიება სიცოცხლის ხელყოფის იმ ფაქტებზე, რომელიც სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების შედეგად დადგა. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითხოვს არა მხოლოდ იმ სახელმწიფო მოხელეების ქმედების შეფასებას, რომლებმაც უშუალოდ გამოიყენეს ლეტალური ძალა, არამედ თუ როგორ მოხდა სპეცოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება. ამიტომ, გამოძიების წარმართვა მხოლოდ სსკ-ის 144-ე მუხლის საფუძველზე არასაკმარისია. სახელმწიფო ვალდებულია ცალკე წარმართოს გამოძიება შეიარაღებული დაჯგუფების წევრების სიცოცხლის ხელყოფის ფაქტთან დაკავშირებით. ამასთან, გამოძიება უნდა ჩატარდეს პროკურატურის და არა საქართველოს შს სამინისტროს გამომძიებლების მიერ. ამ დრომდე პრობლემურია გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი. გამოძიების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სსკ-ის 144-ე მუხლით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილი აწარმოებს. ასევე, გამოძიების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სწორედ ამ საქმის ფარგლებში ხდება სამართალდამცავების მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მიზანშეწონილობის გარემოებების შესწავლა. ამ ფორმით გამოძიების წარმართვა პირდაპირ არღვევს გამოძიების ინსტიტუციური დამოკიდებულების სტანდარტს, რადგან ლაფანყურის სპეცოპერაციას შს სამინისტროს შეიარაღებული ძალები აწარმოებდნენ. პროკურატურის ქვემდებარეა მსგავსი შემთხვევების გამოძიება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითაც, თუმცა, საქმის პროკურატურისათვის გადაცემის არაერთი მოთხოვნა ამ დრომდე არ დაკმაყოფილებულა. გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი, მაშინ როცა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევების გამოძიების დროს, დაზარალებულების წინაშე, სახელმწიფოს მაღალი ანგარიშვალდებულება და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმირების ვალდებულება გააჩნია. დაზარალებულის სტატუსის არარსებობის პირობებში, გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს იმ მცირედი უფლებებით სარგებლობაც კი აქვთ მოსპობილი, რასაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ანიჭებთ.

შესაბამისად, ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეზე ეფექტური, ობიექტური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების მიზნით, საია მოუწოდებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს დაუყოვნებლივ გაატარონ შემდეგი ზომები: დაიწყოს გამოძიება სამართალდამცავთა მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მართლზომიერების და პროპორციულობის შესასწავლად; ამასთან, გამოძიებული იქნას სპეცოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების გარემოებები. გამოძიება წარმართული იქნეს (მათ შორის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს) საქართველოს პროკურატურის მიერ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს მიენიჭოთ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი და უზრუნველყოფილი იყოს გამოძიების პროცესში მათი ეფექტური მონაწილეობა, – ნათქვამია განცხადებაში.

# ეუთოს მისია ლაფანყურის საქმით დაინტერესდა

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გუშინ ასამბლეის პრეზიდენტს ვოლფგანგ გროსრუკს და სამხრეთ კავკასიაში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურ წარმომადგენელს ჟოაო სუარეშს შეხვდა.

როგორც ცნობილია, დახურულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს.

საუბარი ოკუპირებულ რეგიონებში ეუთო-ს მისიის როლს და რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს შეეხო.

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით შეუქცევადი პროცესია.

ეუთოს წარმომადგენლებმა შეხვედრები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთანაც გამართეს.

როგორც ცნობილია, ეუთო რუსეთის ფედერაციის ვეტოს შემდეგ ვეღარ ახორციელებს მონიტორინგს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ეუთოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე, მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა, როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, სხვადასხვა საკითხები განიხილეს, მათ შორის რეგიონალური საკითხებიც.

ეუთოს დელეგაციის წევრებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა აინტერესებდათ. მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საკანონმდებლო ინიციატივები, რომლის განხილვაც პარლამენტში ხდება. ასევე ადამიანის უფლებები, რომლის შესახებაც ბოლო დროს გარკვეულ ცვლილებას აქვს ადგილი საკანონმდებლო მიმართულებით.

– ეუთოს წარმომადგენლებს აინტერესებდათ რეგიონში არსებული მდგომარეობა, კონფლიქტები, რომლებიც არის მეზობელ სახელმწიფოებში. თუმცა, ჩვენი მხრიდან ყურადღება გამახვილდა მიმდინარე რეფორმებზე, პრობლემებსა თუ იმ დადებით მხარეებზე, როგორიც არის სასამართლო რეფორმა, როგორიც არის საარჩევნო რეფორმა, თვითმმართველობის რეფორმა. ასევე შევეხეთ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებს. მაგალითად, ბოლო აქტუალურ პრობლემას, როგორიც არის პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება. სამწუხაროდ, რასაც უკვე ადგილი ჰქონდა, – განაცხადა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა ნინო ლომჯარიამ.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი სერგი კაპანაძე აცხადებს, რომ ეუთოს დელეგაციას სხვადასხვა საკითხები აინტერესებდა.

– სხვადასხვა საკითხებზე ვისაუბრეთ. განვიხილეთ პრობლემები, რომლებიც არის. მაგალითად, განვიხილეთ ლაფანყურის საქმის გამოძიებაზე. საუბარი შეეხო რეგიონში სამსახურიდან განთავისუფლებულ ადამიანებს. საუბარი იყო ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის უკანონო მოსმენები და არქივის განადგურება. ყველა იმ საკითხს შევეხეთ, რაც ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ასევე საუბარი იყო რეგიონალურ თემატიკაზე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, ყარაბაღის კონფლიქტზე და ა.შ., – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

– არის გარკვეული პრობლემები, რომელიც უნდა მოგვარდეს, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ არსებული პრეტენზიები და კითხვები, რომელიც სამოქალაქო სექტორს გააჩნია. ამ საკითხზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, არის გარკვეული ტენდენციები, გარკვეული თანამდებობის პირები კვლავ ჩადიან გადაცდომებს. ამ ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ეფექტური გამოძიება არ ხდება. პირადად მე დავაყენე ეს საკითხი. ასევე ვისაუბრე იმაზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს გაუმჯობესება სჭირდება. ბოლო ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა მიიღო, არ ემსახურებოდა დაცვის უფლების გაძლიერებას. ამ კუთხით ჯერ კიდევ არის პრობლემები და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს გაუმჯობესება სჭირდება, – ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ეკა ფოფხაძე.

## ლარის კურსი გამყარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 9 მაისისთვის, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში 0,0018 პუნქტით გამყარდა და 1 დოლარზე, 1,6468 ლარის ნაცვლად, 1,6450 ლარის ნიშნულზე ავიდა. რაც შეეხება ევროს, ლარის კურსი მასთან მიმართებაში 0,0010 პუნქტით გამყარდა და ნაცვლად 2,1604 ლარისა, 2,1594 ნიშნულზე აიწია.

**ნიუსპრესი**

# ისრაელში ვიზიტით მყოფი ირაკლი ღარიბაშვილი თავის კოლეგას შეხვდა



ისრაელში ოფიციალური ვიზიტით მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თავის კოლეგას, ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საარს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დღესვე შეხვედრა გაიმართა ისრაელის კონტრტერორისტული ბიუროს ხელმძღვანელ ეითან ბენდევიდთან. საუბარი ორი ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის ურთიერთთანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებს შეეხო.

ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრმა და დელეგაციის წევრებმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და მაცხოვრის საფლავი მოინახულეს. მინისტრმა იად ვაშემის მუზეუმი დაათვალიერა და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია ასევე საქართველოს შს მინისტრის შეხვედრები ისრაელის სახმელეთო დაცვისა და კავშირგაბმულობის მინისტრ გილად ერდანთან, უშიშროების მინისტრ იცჰაკ აარონოვიჩთან და ისრაელის მთავრობის სხვა ოფიციალურ პირებთან.

ასევე, ხელი მოეწერება მემორანდუმს საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და საგანგებო სიტუაციების დროს ურთიერთდახმარების მექანიზმების გაუმჯობესებას.

**ნიუსპრესი**

## ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით პრეზიდენტი განცხადებას ავრცელებს



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და მიიჩნევს, რომ ეს საქმე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი იქნება იმისა, შედგა თუ არა საქართველოში თავისუფალი სასამართლო.

„როგორც ბევრი სხვა ადამიანი, ყურადღებას ვადევნებ ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესს, ამავე დროს მაქსიმალურად თავს ვიკავებ აზრის გამოთქმისაგან, ვინაიდან სიმართლე საბოლოო ჯამში მიუკერძოებელმა მოსამართლემ უნდა დაადგინოს.

თუმცა არ შემიძლია არ გამოვეხმაურო იმ გარემოებას, რომ გუშინ იმ მოქალაქემ, რომლის ცემის ბრალდებით დაჩქარებული წესით დააპატიმრეს ყოფილი თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრი, სასამართლოში განაცხადა, რომ ამ ფაქტს ადგილი არ ჰქონია და ის საერთოდ არ ყოფილა ახალაიას კაბინეტში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი საქმეების ყველა დეტალისადმი დიდი სიფრთხილით და გულისყურით მოპყრობა.

საერთოდ მიმაჩნია, რომ ეს სასამართლო საქმე, მისი მიმდინარეობა და შედეგები ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი იქნება იმისა, ბოლოს და ბოლოს შედგება თუ არა საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო. წინა წლებში ჩვენ შევქმენით სასამართლოს დამოუკიდებლობის სერიოზული ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარანტიები, თუმცა, რა თქმა უნდა საქმე ბოლომდე არ იყო მიყვანილი, ვინაიდან ნამდვილი დამოუკიდებლობა პრაქტიკით ყალიბდება და არა ფორმალური ნორმებით. ამიტომ ყველამ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა სასამართლოს გასაძლიერებლად და ჩვენი მოქალაქეების უკეთესი სამართლებრივი დაცვისათვის" — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

## საფრანგეთში ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საფრანგეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა, თბილისის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნილი, 1971 წელს დაბადებული გელა ქავთარაძე დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ პიროვნებას ბრალად ედება ყაჩაღობა, ბინაში შეღწევით თავდასხმა, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა, დამამძიმებელ გარემოებებში ორი ან მეტი ადამიანის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით და ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალი ადამიანის სიცოცხლისთვის, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.

1994 წლის იანვარში, ვახტანგ გვრიტიშვილმა თანამზრახველებთან ერთად, ფულის გამოძალვის მიზნით, ნეშან მინასიანის შვილი ვაზგენ მინასიანი გაიტაცა. ვაზგენ მინასიანი მოგვიანებით, მშობლების მიერ 75 000 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. იმავე წლის თებერვალში დამნაშავეებისთვის ცნობილი გახდა, რომ ნეშან მინასიანმა შეიტყო მისი შვილის გამტაცებლების ვინაობის შესახებ. კვალის დაფარვის მიზნით, ვახტანგ გვრიტიშვილი, გელა ქავთარაძე და სხვა ბოროტმოქმედები მინასიანების ოჯახს ყაჩაღურად დაესხნენ თავს და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ნეშან მინასიანი, ფლორა მინასიანი და ვაზგენ მინასიანი, ხოლო ამ უკანასკნელის დამ, გაიანე მინასიანმა ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

2011 წლის 14 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით გელა ქავთარაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, ხოლო 2011 წლის 4 ნოემბრიდან იგი თბილისის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით იძებნებოდა.

დაკავებულის მიმართ ამჟამად, კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს .

**ნიუსპრესი**

## გაზის ბალონის აფეთქების შედეგად დედოფლისწყაროში 40 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

უბედური შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში. თხევადი აირის ავზის აფეთქებას 40 წლამდე ასაკის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ქიზიყი.გე-ს ინფორმაციით, აფეთქება მაშინ მოხდა, როცა სოსო ბილონაშვილი გაზის ანთებას ცდილობდა.

შემთხვევის შედეგად ოჯახის დანარჩენი წევრები არ დაშავებულან.

**ნიუსპრესი**

## „კარფურში" ვადაგადაცილებული პროდუქტი აღმოაჩინეს

ჰიპერმარკეტ „კარფურში" ვადაგადაცილებული არაქისის კრემი WINSENIA აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაციას საიტი მომხმარებელი.გე ავრცელებს. მათი ინფორმაციით, პროდუქციის შემოწმებისას, შეფუთვაზე ქართული წარწერა განთავსებული არ იყო. ეტიკეტზე კი გერმანულად მითითებული იყო, რომ პროდუქტს ვარგისიანობის ვადა 17 თებერვალს გაუვიდა.

კრემის ვარგისიანობის შემოწმება, ერთ-ერთი მომხმარებლის თხოვნის საფუძველზე მოხდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჰიპერმარკეტის ადმინისტრაციას და სურსათის ეროვნულ სააგენტოს სპეციალური წერილები გადაეგზავნება.

**ნიუსპრესი**

# საპრეზიდენტო კანდიდატს ივანიშვილი დაასახელებს

ნათია ხურცილავა

**ვინ იქნება კოალიცია „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი? ხუთი კანდიდატის გვარი კულუარულად დასახელდა. ახალი გვარი არ გაჟღერებულა, თუმცა ცნობილია, რომ ახალი კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის უფლებამოსილება მმართველობის საპარლამენტო მოდელის შესაფერისი იქნება და არ საპრეზიდენტო რესპუბლიკის. ამდენად, პრეზიდენტს დამბალანსებლის ფუნქცია ექნება.**

გუშინ „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოზე ერთ-ერთ საკითხად სწორედ საპრეზიდენტო კანდიდატები განიხილეს.

თუმცა გუშინდელი შეკრება, როგორც უმრავლესობის წევრებმა გვითხრეს, პარტიული იყო და არა კოალიციურ რეჟიმში. შესაბამისად შეიძლება ითქვას, ერთგვარი შიდა პარტიული მოთელვა გაიარეს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ელისო ჩაფიძის ინფორმაციით, კოალიცია „ქართული ოცნება" საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 5-ზე მეტ კანდიდატურას განიხილავს.

სავარაუდო კანდიდატები ასე გამოიყურება დღეის მონაცემებით: ირაკლი ალასანია, სალომე ზურაბიშვილი, კახი კალაძე, არმაზ ახვლედიანი, ვახტანგ ხმალაძე.

არ არის გამორიცხული, რომ ბიძინა ივანიშვილმა სრულიად უცხო გვარი დაასახელოს და ეს ერთგვარი სიურპრიზი იყოს ყველასთვის.

ვინ შეიძლება იყოს „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი, ამის შესახებ ინფორმაცია უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. არ არის გამორიცხული, რომ ორშაბათს ცნობილი გახდეს კანდიდატი. პრეზიდენტობის კანდიდატს თავად ბიძინა ივანიშვილი დაასახელებს. როგორც პარტიაში აცხადებენ, ეს პრეროგატივა პრემიერს ეკუთვნის.

„ქართული ოცნების" წევრებმა ერთგვარი გაკვეთილი მაჟორიტარობის კანდიდატების დასახელების დროს გაიარეს. მაშინ „რესპუბლიკელმა" დავით ბერძენიშვილმა ბიძინა ივანიშვილის დაუკითხავად მაჟორიტარულ ოლქებში მაჟორიტარობის კანდიდატების რეიტინგები გააცნო ჟურნალისტებს, რასაც ივანიშვილის განაწყენება მოჰყვა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ელისო ჩაფიძე აცხადებს, რომ მას არანაირი მონაწილეობა საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევაში არ მიუღია.

— არანაირი მონაწილეობა საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევაში არ მაქვს. არ შემიძლია დავადასტურო რომელიმე კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაცია. საზოგადოებაში განიხილება ესა თუ ის პიროვნება. ჩემს სიტყვებს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა დილით. ამ ეტაპზე შერჩევაში არანაირ მონაწილეობას არ ვიღებ. მხარს დავუჭერთ ნებისმიერ კანდიდატს, რომელსაც კოალიცია დაასახელებს, — განაცხადა ელისო ჩაფიძემ.

დილით, ელისო ჩაფიძემ რამდენიმე კონკრეტული გვარი დაასახელა.

— გვყავს საკმაო რაოდენობის კანდიდატი. კოალიციის პოლიტსაბჭო ყველაზე ღირსეულზე მიიღებს გადაწყვეტილებას. „ქართული ოცნების" მიერ დასახელებული კანდიდატი იქნება ყველაზე ღირსეული, განათლებული, სუფთა წარსულის მქონე, — განაცხადა ჩაფიძემ.

დეპუტატმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ კანდიდატებს შორის ქალებიც განიხილებიან.

— სალომე ზურაბიშვილი არის ერთ-ერთი ღირსეული კანდიდატი. სასიამოვნო იქნება, თუ მასაც ექნება ანალოგიური სურვილი, — აღნიშნა ჩაფიძემ, მაგრამ არც დაადასტურა და არც უარყო კოალიციაში სალომე ზურაბიშვილის შესაძლო კანდიდატურად განხილვის საკითხი.



— არის 5-ზე მეტი კანდიდატი, უაღრესად განათლებული, ღირსეული, სუფთა წარსულის და სიმპათიურიც, სხვათა შორის. ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ერთ-ერთი ძალიან ღირსეული კანდიდატია და ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ მასაც ექნება იგივე სურვილი და პოლიტსაბჭოსაც. კახი კალაძის კანდიდატურაზე მსჯელობა რომ მიდის, არავისთვის საიდუმლო არ არის. მე ვისურვებდი, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი იყოს ისეთი ბრძენი, მორალური პიროვნება, როგორც ჩვენი პატრიარქი, ისეთი დიპლომატიური უნარ-ჩვევებით და გამოცდილებით, როგორიცაა ქალბატონო სალომე ზურაბიშვილი, ისეთი პოპულარობით და ახალგაზრდული შემართებით, როგორიცაა კახი კალაძე. „ქართულ ოცნებას" ბევრი ღირსეული კანდიდატი ჰყავს. ვნახოთ, კოალიციის პოლიტსაბჭო როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს, — განაცხადა ჩაფიძემ.

ირინა იმერლიშვილის განცხადებით, პრემიერ-მინისტრს თავისი ფავორიტი კანდიდატი ჰყავს, რომელსაც ის უახლოეს მომავალში დაასახელებს.

— როგორც პრემიერ-მინისტრმა გვითხრა, რამდენიმე თავისი ფავორიტი კანდიდატი ჰყავს. სხვა პარტიებსაც ეყოლება თავისი კანდიდატურები. მხოლოდ ერთი პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომა იყო და, შესაბამისად, ჩვენ საპრეზიდენტო კანდიდატს ვერ განვიხილავდით. ეს საკითხი ერთიანად უნდა გადაწყვიტოს კოალიციამ. ბატონმა პრემიერმა გვითხრა, რომ უმრავლესობის სხდომა გაიმართება და სწორედ იქ მოგვახსენებს თავის კანდიდატურებსაც, — გვითხრა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირინა იმერლიშვილმა.

გუშინდელ პოლიტსაბჭოს სხდომას ერთ-ერთი შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატი ესწრებოდა. არმაზ ახვლედიანმა პრესას განუცხადა, რომ ის ამჯერად პარტიის სტრუქტურების ჩამოყალიბებითა და მისი გაძლიერებით არის დაკავებული.

ჟურნალისტებისთვის მოულოდნელად არმაზ ახვლედიანმა კითხვაზე — იქნება თუ არა თანახმა, რომ იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი, პასუხად — არა — განაცხადა.

— ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ თვისობრივად გარემო შეიცვალა. ქვეყანას ჰყავს ახალი მმართველი გუნდი, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი, ვნახოთ, დაველოდოთ ოფიციალურ განცხადებას. ეს არ არის ყოფნა—არყოფნის საკითხი. დაუკითხავად არაფერი არ გადაწყდება. გადაწყვეტილება კოალიციურ რეჟიმში იქნება მიღებული. რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. მე დავთანხმდები თუ არა, უკვე აღვნიშნე, რომ ამჯერად დაკავებული ვარ პარტიის გაძლიერებით, — განაცხადა არმაზ ახვლედიანმა.

პარტია „ქართული ოცნების" წევრი ეკა ბესელია აცხადებს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ერთი შერჩევის პროცედურებიც და კონკრეტული კანდიდატებიც პრემიერთან შეხვედრაზე იქნება განხილული.

თუმცა, როგორც კულუარებში აცხადებენ, „ქართული ოცნების" წარმომადგენელი ქალები ეკა ბესელია და ელისო ჩაფიძე სალომე ზურაბიშვილს ლობირებენ.

— როცა იქნება კოალიციის პოლიტსაბჭო, შემდეგ უმრავლესობასთან შეხვედრა და პრემიერი შეხვდება კოალიციას, ამ ფორმატში იქნება განხილული პროცედურებიც, რამდენიმე კანდიდატურიდან ერთზე შეჯერების შესახებ და თვითონ კანდიდატურებიც. ჯერ კანდიდატებზე არ გვიმსჯელია. გაცილებით ბევრი გვარი შეიძლება დასახელდეს პრეზიდენტის სავარაუდო კანდიდატად, — განაცხადა ბესელიამ.

„ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს წევრი ეკა ბესელია როგორ საპრეზიდენტო კანდიდატს ისურვებდა?

მისი თქმით, კანდიდატი უნდა იყოს გამოცდილი, რომელსაც ექნება უნარი, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფთან კომუნიკაციისა და მოირგებს იმ როლსა და ფუნქციას, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედებულ კონსტიტუციაში იქნება განსაზღვრული.



— კითხვაზე, უნდა იყოს თუ არა კანდიდატი ქალი? ბესელია ამბობს, რომ კარგი იქნებოდა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატების დასახელების პრეროგატივა პრემიერ ბიძინა ივანიშვილს აქვს. ამის შესახებ ქუცნაშვილმა პარტია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს სხდომიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა.

— მოვუწოდებ კოლეგებს, თავი შეიკავონ საპრეზიდენტო კანდიდატების დასახლებისგან. ნუ შევიჭრებით სხვების უფლებამოსილებაში, საპრეზიდენტო კანდიდატს პრემიერი დაასახელებს. ბატონ ბიძინას აქვს ეს პრეროგატივა. კოალიციის პოლიტსაბჭოზე დასახელდება საპრეზიდენტო კანდიდატი. შემდეგ საზოგადოებას ეცნობება ამ კანდიდატის შესახებ. კოალიციის პოლიტსაბჭოს შეკრება შაბათ-კვირას გაიმართება, — აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.

ვანო კიღურაძე, „ქართული ოცნების" წევრი:



— ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი უახლოეს მომავალში გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი. კოალიცია იმდენად ძლიერი და იმდენად ერთსულოვანია, რომ ერთ კანდიდატზე შეჯერდება. ჩემთვის იდეალური საპრეზიდენტო კანდიდატი, უპირველეს ყოვლისა, კომპეტენტური, განათლებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე უნდა იყოს და არაფრით არ უნდა ჰგავდეს სააკაშვილს.

## შსს–მ განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, 1987 წელს დაბადებული ვანო ა.დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულმა თელავში, „ზუზუმბო"-ს ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, თანასოფლელი, 1987 წელს დაბადებული თენგიზ ჩ, ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი თელავის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის მძიმე, თუმცა სტაბილურია.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მიმალვაში მყოფი ვანო ა. დანაშაულის ჩადენიდან მეოთხე დღეს, გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთში დააკავეს. დანაშაულის იარაღი დანა — ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, სსკ-ის 19-108 -ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თელავის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

# მოკლული ზვიად შამათავას დედა სიმართლის დადგენას ითხოვს

გულიკო ბალაძე

**2012 წლის 22 დეკემბერს შს სამინისტროს წინ მდებარე რესტორან „სამ საუკუნესთან“ მოკლეს ტაქსის მძღოლი ზვიად შამათავა. მეორე ტაქსის მძღოლი დანით ზურგში დაჭრეს, მესამეს კი – სცემეს.**

**ვიდეოთვალს უნდა დაეფიქსირებინა მომხდარი, თუმცა, რესტორნის ვიდეოთვალი რატომღაც „გაფუჭებული“ აღმოჩნდა, ხოლო შს სამინისტროს ვიდეოფირები არ ამოუღიათ. გამოძიება ჩატარდა და საქმე სასამართლოში უკვე განიხილება, მაგრამ დაზარალებულები გამოძიებით უკმაყოფილოები არიან. ზვიად შამათავას დედა საქართველოს მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილსაც შეხვდა, მაგრამ საქმე უკვე იყო სასამართლოში გადაგზავნილი და, რეალურად, არაფერი შეცვლილა.**

**ზვიად შამათავას დედა აცხადებს, რომ მის შვილს და მის ორ მეგობარს სამი ადამიანი დაესხა თავს და მოკლეს. ეს იყო ჯგუფური დანაშაული. თუმცა, მათგან მხოლოდ ერთს – ონიანს აქვს მკვლელობის მუხლი წაყენებული, კიდევ ერთ პიროვნებას კი ხულიგნობის ბრალდება აქვს, ხოლო მესამე დაკავებული საერთოდ არ არის.**

– ჩემი შვილი, ზვიად შამათავა იჯდა თავის კუთვნილ მანქანაში. მუშაობდა ტაქსის მძღოლად. მასთან ერთად კიდევ ორი ტაქსის მძღოლი, დათო გეწაძე და გია ალექსანოვი იდგნენ რესტორან „სამ საუკუნესთან“. ჩემი შვილი ახალი მისული გახლდათ, ციოდა და ამიტომ სამივე მძღოლი ჩემი შვილის მანქანაში ჩაჯდა. ალექსანოვის მანქანა ბოლოში ყოფილა გაჩერებული. რესტორნის მხრიდან ამოსულა ალეკო ონიანი (დაბლა ხეივანის ქუჩაზე ცხოვრობს და იქიდან ამოსულა), ამ მძღოლებისთვის სრულიად უცნობი პიროვნება და ჩაუხედავს გია ალექსანოვის მანქანაში. ჩემ შვილს უთქვამს, გია, მიდი, შენს მანქანასთანაა მისული, კლიენტია, ალბათო. გია ალექსანოვი რომ მისულა, ონიანს ტელეფონი უთხოვია. ასანოვს ტელეფონი არ უთხოვებია და ისევ ჩემი შვილის მანქანაში ჩამჯდარა. შემდეგ ონიანმა ტელეფონი მეორე ტაქსის მძღოლს თხოვა. მისი ტელეფონი გაფუჭებული იყო. მერე ჩემი შვილისთვის უთხოვია ტელეფონი და ჩემს შვილსაც არ მიუცია, სალაპარაკო თანხა არ ჰქონდაო. მიეცა თუ არ ჰქონდა სალაპარაკო, მაგრამ აი, უბედურება. ამის შემდეგ ონიანი იქით იდგა და იყურებოდა, თურმე, რაღაც არანორმალურად, აგრესიულად. ჩემს შვილს ხელი ჰქონია მანქანის ფანჯარაზე გადადებული. სამივენი მის მანქანაში ისხდნენ. ჩემს შვილს სიგარეტის ნამწვი დაუგდია ძირს. ონიანი იქით იდგა, გაბრაზებული, ტელეფონი რომ არ ათხოვეს და უთქვამს, ეს სიგარეტის ნამწვი მე მესროლე, უზრდელი ხარო. რას ამბობ, ძმაო, შენთვის რატომ უნდა მესროლა, თუ ასე გგონია, ბოდიშიო. ონიანმა ეს გაიხადა ჩხუბის მიზეზად. ამ დროს ვიღაც გოგო მოსულა ტაქსით ონიანის კურსელი და მისი ტელფონით ორ მეგობისთვის დაურეკავს. სერიოზული არაფერი ყოფილა და რას ვიფიქრებდით, თუ ვიღაც დანით მოგვივარდებოდა და მოკლავდაო. ამ დროს მეორე ტაქსი მოდის, ზუსტად სამინისტროს მხარეს ჩერდება, ტაქსიდან ორი ბიჭი გადმოდის და ამათკენ მოემართება, მაგრამ რომ ხედავენ, ამათთან არაფერი ხდება, თავის მეგობარ ონიანთან მიდიან. ონიანთან მისვლა და იქიდან სამივეს პირდაპირ ამათკენ გამოქცევა, ერთი იყო. ონიანი შუაში იყო გაშლილი დანით, გვერდით მეგობრები მოჰყვებოდნენ. ასე უცებ თავს დაესხნენ ჩემს შვილს და მის მეგობრებს. ჩემს შვილს დაუძახია, დანები აქვთ და გავიქცეთო.

***– დანა ერთს ეჭირა?***

– როგორც ისინი ამბობენ, დანა ერთს ეჭირა. უცებ დაესხნენ თავს. თან ის ბიჭები ნავარჯიშები ყოფილან. ერთი რაგბისტი ყოფილა, მეორე – მოჭიდავე. ვაჟკაც კაცს დანა რატომ უნდა ეკავოს ხელში? მათი ადვოკატები აფიშირებენ, მოჭიდავე და სპორტსმენი ბიჭები არიანო.

***– ვინ არიან მათი ადვოკატები?***

– ხვიჩა ლიპარტელიანის ადვოკატი ჩარქსელიანია, ხოლო მკვლელის, ონიანის – გიორგი გიგუაშვილი.

***– დადგენილია, რომ მკვლელობა უშუალოდ ონიანმა ჩაიდინა?***

– დიახ, დადგენილია, რომ ონიანს ეჭირა დანა. ონიანი შუაში იყო, ხოლო ლიპარტელიანები გვერდით მოჰყვებოდნენ. თავდასხმა ისეთი მოულოდნელი იყო (გიჟებივით ყვიროდნენ თურმე). ამათ შეეშინდათ და მიეფარნენ. ჩემი შვილი კი პირდაპირ მათ წინ აღმოჩნდა, წინ მდგარა. ამ დროს უკვე მანქანიდან გადმოსულები ყოფილან. რისთვის გადმოვიდნენ, რას ელოდებოდნენ, შიგნით მაინც მსხდარიყვნენ. ჩემი შვილი წინა მხარეს მდგარა და პირველად ამას ეტაკნენ. როგორც ჩანს, გაშლილი დანა მაშინვე ჩაარტყა მთელი ძალით გულში. როგორც ჩემი შვილის მეგობრები ყვებიან, ალექსანოვი უფრო პატარა ბიჭია და დაბლა დავარდნილა. მესამე ტაქსის მძღოლი რესტორანში გაქცეულა, მიშველეთო. ჩემი შვილი დაჭრილია და გარბის. ონიანისთვის უთქვამს, არ დამარტყა, ბიჭო, დანაო. თვითონ გამომძიებელმა მითხრა. მუხანათურად დაარტყეს, თორემ არ დაირტყამდაო. პირდაპირ გულში დაარტყა. ასე როგორ გამოზომეს. რესტორნის მხარეს „როლფეტროლის“ გაზგასამართი სადგურია და დაჭრილი იქით გარბის. ეს უკვე დაფიქსირებულია კამერებზე. მარტო ეს ფირი ვიცით ჩვენ. გაქცეულს ლიპარტელიანი კიდევ მისდევს. დაჭრა არ აკმარეს და კიდევ ურტყამს. ჩემი შვილი ეუბნება, ნუ მარტყამ, დაჭრილი ვარო, მაგრამ უკნიდან დაეწია და კიდევ ურტყა.

***– ეს ფირში ჩანს?***

– დიახ, სისხლს აჩვენებს, დაჭრილი ვარო, მაგრამ ის მაინც აგრძელებს ცემას, ასე მითხრეს, თორემ მე ბოლომდე ყურება ვერ შევძელი. შემდეგ შიგნით „როლპეტროლის“ კალონკიდან“ დაუძახიათ (დროზე რომ ეშველათ, სასწრაფო გამოეძახებინათ, იქნებ ჩემი შვილი გადარჩენილიყო) ბიჭო, კამერები გიღებსო და ამიტომ გაიქცა. ჩემი საწყალი ჩემი შვილი ბრუნდება უკან, სადაც თავისი მანქანა ეყენა.

***– „კალონკაზე“ მანქანა ვინმეს არ ჰყავდა, რომ საავადმყოფოში წაეყვანათ?***

– არ ვიცი. დანა წვრილად იყო შესული შიგ გულში, ორივე მხრიდან ალესილი ყოფილა. ჩემი შვილი ცოტა მსხვილი ბიჭი იყო და ჭრილობამ პირი შეიკრა. სისხლი შიგნით გროვდებოდა. მაისურსა და ჯემპრზე სისხლი რაც ეცხო, მეტი არ გამოსულა. ეტყობა ამიტომ ვერ მიხვდნენ, რომ დაჭრილი იყო.

***– დანა ამოღებულია?***

– დანა ამოღებულია. „კალონკიდან“ უკან რომ მობრუნდა, ისევ მეგობრებს ეძებდა. ბიჭებს ეკითხება, სასწრაფოს რა ნომერი აქვსო. ისიც ვერ მოიფიქრეს, დაჭრილისთვის სასწრაფო გამოეძახებინათ. თავის ტელეფონზე დაფიქსირებულია, რომ სასწრაფოს თვითონ ურეკავს და ბიჭებს ეძებს. ხვიჩა ლიპარტელიანი ამას საცემლად გამოეკიდა, მეორე – გაგა ლიპარტელიანი კი ადგილზე დარჩა. ალექსანოვი დაბლა დააგდეს, წიხლებით სცემეს და ზურგში დანა ჩაარტყეს.

***– დანა ალექსანოვსაც ჩაარტყეს? იგივე დანა ჩაარტყეს?***

– იგივე დანაა. ორივე ერთი დანითაა დაჭრილი. მეორე ეხმარება ცემაში. იმდენი ურტყეს, დანის დარტყმა აღარ გაუგია. ექსპერტმა დაამტკიცა შემდეგ, ისე იყო ნაცემი, ვერ მიხვდა ცხელ გულზე. ამ დროს ერთი ბიჭი შიგნით შევარდა რეტორანში, გვიშველეთო. გამოვიდა ხალხი რესტორნიდან, შიგნით შეათრიეს ალექსანოვი და შიგნითაც შეჰყვნენ. ვინც ჩემს შვილს მისდევდა, ისიც შედის რესტორანში.

***– იმ რესტორნის შესასვლელში ვოდეოკამერა არ არის დამონტაჟებული?***

– მოვიკითხეთ და გვიპასუხეს, არ იღებსო. ზუსტად რესტორნის კარებთან იდგნენ. ეს როგორი დასაჯერებელია? მანდაც რაღაც ხდება. იქით, გზაზე, დენის ბოძზეც ყოფილა სპეციალური საპატრულო ვიდეოთვალი, ის მაინც არ იღებდა? ახლა მივხვდით. ჩვენ ხომ არ ვართ გამომძიებელი და პროკურორი. სამინისტროს შენობაზე ყველგან ვიდეოკამერებია დამონტაჟებული. ყველა იმას ამბობს, მხოლოდ ადგილზე იღებსო. როგორ, იმის იქით არაფერს იღებს? რესტორნის უფროსობამ თქვა, ვიდეოთვალს ჩამწერი არ ჰქონდაო. მართალია, თუ იქაც ჩააწყვეს საქმე, არ ვიცი. შიგნით რესტორანში ალეკო ონიანი და ხვიჩა ლიპარტელიანი რომ ჩხუბობენ, ამ დროს მესამე – გაგა ლიპარტელიანი გარბის. მიხვდა, დამიჭერენო და გაიქცა, თორემ მანამდე იქ იყო.

***– თქვენ როგორ დაადგინეთ მესამე რომ მონაწილეობდა?***

– ამ ბიჭებისაგან. პირველ პროკურორს ჯემალ კობაიძეს შევეკითხეთ, მესამე რატომ არ არის დაჭერილი-თქო. ასე გვითხრეს, ვიღაც სხვა იყოო. რესტორანში რომ ჩხუბობდნენ, ონიანმა პატრულს წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მთავრობიდან ვიღაცის სახელი ახსენა და არ იჭერდნენო.

***– ვისი სახელი ახსენეს?***

– არ ვიცი. მერე, როცა პატრულს დაარტყა, დაიჭირეს. მაშინვე ჰყავდათ ვიღაც მფარველი. იმ დღიდან დაიწყეს საქმის გაკეთება. სამი თვის შემდეგ, როცა მეორე პროკურორს გადაეცა საქმე, მაშინ დაკითხეს მესამე მონაწილე გაგა ლიპარტელიანი. მოძებნეს, ლენტეხიდან ჩამოიყვანეს, დაჰკითხეს და გაუშვეს.

***– რას ამბობს?***

– არ ვიცი, ჩვენს ადვოკატს საქმეში არ ახედებენ. პრეტენზია გამომძიებელ ლაშა ტუხაშვილისა და პირველ პროკურორის ჯემალ კობაიძის მიმართ მაქვს, საქმე არ არის ძირფესვიანად გამოძიებული. ლიპარტელიანების დახმარებით მოხდა ჩემი შვილის დაჭრა. ისინი მოვიდნენ და განახორციელეს თავდასხმა. მეორესაც კლავდნენ. ონიანმა და გაგა ლიპარტელიანმა მეორესაც ჩაარტყეს დანა და სცემდნენ. დანა ზურგში ჩაარტყეს, ძვალზე მოხდა და გადატყდა, თორემ შეიძლება ისიც დაღუპულიყო. ფაქტობრივად, ჯგუფური დანაშაულია და ამიტომ არ იჭერენ. მუხლი არასწორადაა მიყენებული. ეს იყო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობაა, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ არის. ეს მუხლი ითვალისწინებს 7-დან 15 წლამდე პატიმრობას. ხვიჩა ლიპარტელიანს მხოლოდ ხულიგნობის მუხლი რომ მისცეს, მარტო ხულიგანია, მივიდა და მკვლელობაში ეხმარებოდა ონიანს? ლიპარტელიანები დაეხმარნენ ონიანს ჩემი შვილის მკვლელობაში, ასანოვის დაჭრასა და მესამე მძღოლის ცემაში. დაჭრილსაც მისდევენ, ის რომ არ გაკიდებოდა, ჩემი შვილი დროზე დაურეკავდა სასწრაფოს და იქნებ შველებოდა. არ მისცა საშუალება ლიპარტელიანმა.

როცა გონს მოვედი, მთავარ პროკურატურაში სამი განცხადება შევიტანე (პირველი განცხადება 23 იანვარს დავწერე). სამივე განცხადება ქალაქ თბილისის პროკურატურას დააწერეს. პროკურორისაგან მომდიოდა პასუხები, საქმე ძიებაშია და დამნაშავეები მიეცემიან სამართლებრივ პასუხისგებაშიო, მაგრამ მე ეს პასუხი არ მაკმაყოფილებდა, ეს რა გამოძიება იყო, როცა მესამე პიროვნება არ დააპატიმრეს, მკვლელს კი მსუბუქი მუხლი მიუყენეს.

***– როგორც ვიცი, მთავარ პროკურორს შეხვდით.***

– ბატონმა კბილაშვილმა ძალიან დიდი დრო დამითმო და მომისმინა, მაგრამ საქმე უკვე სასამართლოში იყო გადაგზავნილი და ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა.

## ოფიციალური მონაცემებით, წელიწადში 36 ათასი აბორტი კეთდება

დემოგრაფიული განვითარების ფონდის წარმომადგენელი თამარ ჩიბურდანიძე აცხადებს, რომ საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, წელიწადში 36 ათასი აბორტი კეთდება, ხოლო არაოფიციალური მონაცემებით, 100 ათასზე მეტი.

როგორც მან გუშინ გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს მაჩვენებლები საგანგაშოა.

მისი თქმით, ფონდის ხელმძღვანელის დიმიტრი ხუნდაძის თაოსნობით პატრიარქის სააღდგომო ქადაგების მეორე დღეს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან რადიკალურად განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანები და საპატრიარქოს წარმომადგენელი. კომისია აბორტის აკრძალვასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივას შეიმუშავებს და პარლამენტს მიმართავს.

„აბორტი არის მიუტევებელი ცოდვა და დანაშაული, ამიტომაც ჩვენი ფონდის პოზიციაა რომ ამ საკითხზე სახელმწიფომ და ეკლესიამ ერთობლივად იზრუნონ. საქართველოში ოფიციალური მონაცემებით 36 ათასი აბორტი კეთდება. არაოფიციალური მონაცემები კი ეს ციფრი 100 ათასზე მეტს აღწევს. ფაქტობრივად ქვეყანაში აბორტის შედეგად დღეში 300-ზე მეტი ჩვილი იღუპება. ამიტომაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ კომისიის დასკვნა რომელიც პატრიარქის ინიციატივაზე მუშაობს და საკანონმდებლო ორგანოს მიმართავს. კომისიაში არიან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების მქონე პირებიც“, – აცხადებს ჩიბურდანიძე.

მისი თქმით, დემოგრაფიული განვითარების კუთხით საქართველოს რეგიონებში ყველაზე კარგი მდგომარეობა აჭარასა და ქვემო ქართლში აღინიშნება, სადაც ბოლო პერიოდში მატება შეიმჩნევა. რაც შეეხებათ პრობლემურ რეგიონებს საგანგაშო ვითარება სამეგრელო-ზემო სვანეთში, კახეთში და რაჭაშია შექმნილი.

**მედიანიუსი**

## ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი ივნისის ბოლოს გახდება ცნობილი

საპარლამენტო უმცრესობის წევრის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის ვინაობა ივნისის ბოლოს გახდება ცნობილი.

როგორც დეპუტატმა ჟურნალისტებს განუმარტა, ნაციონალური მოძრაობა პრეზიდენტობის კანდიდატთან დაკავშირებით პრაიმერს მიმდინარე თვის ბოლოს დაიწყებს და მასში მონაწილეობას 5 კანდიდატზე მეტი არ მიიღებს.

მისივე თქმით, შიდაპარტიული არჩევნები პრაიმერისთვის რეგიონებშიც გაიმართება, ასევე გაიმართება სატელევიზიო დებატები კანდიდატებს შორის.

**მედიანიუსი**

## დევნილებმა და სოციალურად დაუცველებმა „ზაკვოს“ შენობა დატოვეს

თბილისში, ვაკე-საბურთალოს გზაზე მდებარე ყოფილი „ზაკვოს“ შენობა თვითნებურად შესახლებულმა დევნილებმა და სოციალურად დაუცველებმა უკვე დატოვეს. ოფიციალური ინფორმაციით, ისინი დროებით საცხოვრებლად სხვაგან გადავიდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო თბილისის მიმდებარედ კარკასულ შენობებს რეაბილიტაციას ჩაუტარებს და საცხოვრებელ ბინებს შექმნის, ყველას, მათ შორის სხვადასხვა შენობებში შეჭრილ დევნილებსაც შეეძლებათ, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, შეავსონ სპეციალური ანკეტა რომელიც სამინისტრომ არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეიმუშავა. შევსებულ ანკეტებს კი განიხილავს სპეციალური კომისია, დევნილთა ოჯახებს მიენიჭება ქულები და საცხოვრებელი ბინებით მიღებული ქულების შესაბამისად დაკმაყოფილდებიან.

„ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო კატეგორიული წინააღმდეგია ძალადობის და სხვადასხვა შენობებში შეჭრის. შესაბამისად, ცდილობს, პრობლემა დიალოგისა და მოლაპარაკებების გზით მოგვარდეს. შეგახსენებთ, რომ ანალოგიურად, უმტკვნეულოდ დასრულდა გახმაურებული ბაქოს ქუჩა №1-ში შეჭრილი დევნილების საკითხიც, შეჭრილები დროებით სხვაგან გადავიდნენ, შემდეგ კი დაპირებისამებრ დაკმაყოფილდნენ“,- ნათქვამია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## წითელ ხიდზე ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს

შემოსავლების სამსახურმა წითელ ხიდზე ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინა.

მათი ინფორმაციით, გუშინწინ საღამოს საბაჟო გამშვები პუნქტის, წითელი ხიდის გავლით, აზერბაიჯანიდან საქართველოში „მერსედესის“ მარკის ავტომანქანით, საქართველოს მოქალაქეები მ.ხ, გ.ტ. და ნ.ლ. შემოვიდნენ.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ეჭვის საფუძველზე, მგზავრებისა და მანქანის დეტალური დათვალიერება განხორციელდა. შემოწმების შედეგად ბარგში, სხვა მედიკამენტთან ერთად, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მედიკამენტები გამოვლინდა. შემდგომი რეაგირების მიზნით, საქმის მასალები კრიმინალური პოლიციის ალგეთის განყოფილებას გადაეცა.

**მედიანიუსი**

## ქართული ოცნება მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალს გვირგვინით შეამკობს

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს ახალგაზრდული ორგანიზაცია, დღეს ვაკის პარკში, ფაშიზმზე გამარჯვების 68-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალს გვირგვინით შეამკობს.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები ომის ვეტერანებს გამარჯვების დღეს პირადად მიულოცავენ.

ღონისძიება ვაკის პარკში 14:00 საათზე დაიწყება.

**ნიუსპრესი**

## გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბანკების რეკლამები მათ მიერ შემოთავაზებულ პროდუქციას არ ემთხვევა

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 1 მაისიდან 8 მაისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კომერციული ბანკების რეკლამები, მათ მიერ შემოთავაზებულ პროდუქციას არ ემთხვევა.

კითხვაზე - „ეთანხმება თუ არა კომერციული ბანკების რეკლამები მათ მიერ შეთავაზებულ პროდუქციას,“ გამოკითხულთა 63,6 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა, საწინააღმდეგო მოსაზრება კი გამოკითხვაში მონაწილეთა 27,3 პროცენტმა დააფიქსირა.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა მონაწილეთა 9,1 პროცენტს გაუჭირდა.

**ნიუსპრესი**

# შვილმა დედას სასტიკად სცემა

მერი ნამორაძე

რამდენად ხშირად ძალადობენ შვილები მშობლებზე და ფიზიკურად უსწორდებიან წლებისგან უკვე დაუძლურებულ დედ-მამას? როგორც ჩანს, ეს ყველაზე ტაბუირებული თემაა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, რადგან ყველაზე დიდ სირცხვილად მშობლისათვის შვილის მიერ მიყენებული ფიზიკური ძალადობა მიიჩნევა. შესაბამისად, მშობელი ამჯობინებს მოუთმინოს, აიტანოს და სააშკარაოზე არ გამოიტანოს შვილის დამოკიდებულება, თუნდაც იმიტომ, რომ მის აღზრდაში თავად მიუძღვის ლომის წილი.



გუშინ „ნიუს-ჯი“-მ გაავრცელა ინფორმაცია სოფელ ველისციხეში შვილის მიერ დედის უმოწყალოდ ცემის თაობაზე. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა შვილმა დედას ისე სცემა, რომ ქალბატონი ს.შ. ბარძაყის არეში მოტეხილობით გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს. დაზარალებულის განცხადებით, მისი შვილი ხშირად სცემდა და ამის შესახებ პოლიციასაც კი მიმართა. თუმცა, ჯერჯერობით ის დაკავებული არ არის.

„ახალი თაობა“ წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური დახმარებისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრს დაუკავშირდა და შვილებსა და მშობლებს შორის ძალადობის პრობლემის შესახებ კომენტარი ფსიქოლოგ მაია ცირამუას სთხოვა.

**მაია ცირამუა:**

– როცა საუბარია ზოგადად ძალადობაზე, ეს გულისხმობს ძალთა დისბალანსს, რაც ნიშნავს, რომ ძალა, ეს იქნება ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ ასე შემდეგ, გადახრილია ერთ რომელიმე მხარეს, რომელიც ვერ უძლებს ცდუნებას, არ გამოიყენოს სუსტი მხარის საწინააღმდეგოდ. ძირითადად, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან ბავშვები და ქალები, იმიტომ, რომ ძალის ბალანსი მათ საწინააღმდეგოდ ყოველთვის დარღვეულია. თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ვისაუბრებთ, ასე წარმომიდგენია, რომ ზოგადად ამ ოჯახში ოჯახური ძალადობა იყო დამკვიდრებული, პრაქტიკა, სადაც მშობლები ძალადობენ პატარა ბავშვებზე, მამაკაცი ძალადობს ქალზე. ძალიან ხშირად ხდება ხოლმე მოძალადისა და მსხვერპლის, როლის როტაცია. ანუ ყოფილი მსხვერპლი შეიძლება გახდეს ხვალ მოძალადე. ანუ ბიჭი, რომელიც ხშირად იყო ბავშვობაში ფიზიკური დასჯის ობიექტი, ხშირად აკრიტიკებდნენ, ხშირად შეურაცხყოფდნენ, მას შემდეგ, რაც გრძნობს ძალას მის სასარგებლოდ, იყენებს მას სუსტი მხარის წინააღმდეგ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არის ერთგვარი რევანში შვილისა მშობელზე, რომელიც მასზე ძალადობდა. ან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზოგადად ამ სივრცეში ქალი აღქმულია, როგორც ძალადობის ობიექტი, რაც ნაკლებად სავარაუდო მგონია. ხშირად ხდება, რომ დაისწავლიან ხოლმე ქალის მიმართ ძალადობრივ ქცევას. თითქოს ნორმად არის ეს აღიარებული, რადგან ბავშვი ხედავს, რომ მამა მუდმივად ამცირებს, შეურაცხყოფს დედას, დედა არის ადამიანი, რომელსაც ნაკლები უფლებები აქვს, ზოგადად ქალი არის ის ადამიანი, რომელმაც ნაკლებად უნდა ამოიღოს ხმა, ნაკლებად გამოხატოს პროტესტი, ნაკლებად აქტიურად იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ზოგადად იმაზე მიუთითებს, რომ ძალადობა ჩვენს საზოგადოებაში რაღაც წილად აღქმული არის როგორც ნორმა. საზოგადოებას ჰგონია, როცა მშობელი ძალადობს შვილზე ნორმალურია, როცა მამაკაცი ძალადობს ქალზე ნორმალურია და განგაშის ზარების ატეხვა ხდება, როცა შვილი იწყებს ძალადობს მშობელზე. ეს, კიდევ ვიმეორებ, შეიძლება რევანშის ხასიათს ატარებდეს – შვილი, რომელიც იმის გამო, რომ თვითონ იყო ძალადობის მსხვერპლი, ამ ძალადობას ციკლში დაატრიალებს.

*– სამართალდამცავთა როლზე რას იტყვით ასეთ შემთხვევაში?*

– ამაზე აუცილებლად უნდა იყოს რეაგირება. მიდგომა, რომ რაც ოჯახს იქით ხდება, არავის ეხება, არასწორია. მით უმეტეს, როცა კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე. აუცილებელია ამაზე სამართალდამცავებს ჰქონდეთ რეაქცია. კანონი ქმედითი უნდა გახდეს. ძალიან ხშირად არასერიოზულად უყურებენ ხოლმე ასეთ რაღაცას და ჰგონიათ, რომ არ არის აქტუალური პრობლემა და წაუყრუებენ ხოლმე. რეაქცია უნდა იყოს აბსოლუტურად რელევანტური. სადაც უნდა ხდებოდეს ძალადობა, იქნება ოჯახში, ქუჩაში, თუ ნებისმიერ ადგილას, სადაც ადამიანები ხვდებიან, რეაქცია ადეკვატური უნდა იყოს.

*– თქვენი ორგანიზაციისთვის თუ მოუმართავთ შვილისგან ძალადობის მსხვერპლ მშობლებს დასახმარებლად?*

– ასეთი რამ არ მახსენდება.

*– ანუ ეს ყველაზე დამალული თემაა?*

– ეს არის ყველაზე დამალული თემა. ასეთი ისტორიაც მსმენია: მამა, რომელიც მთელი ცხოვრება ძალადობდა შვილებზე, როდესაც მოხუცდა, გახდა შვილებისგან ძალადობის მსხვერპლი. შეიძლება ფიზიკურ ძალადობაზე არ იყოს საუბარი, მაგრამ იგნორირებულია, უგულებელყოფილია, დამოკიდებულებაში ჩანს, რომ არაცნობიერად მიდის შურისძიება მასზე ადრინდელი ძალადობრივი დამოკიდებულების გამო.

# თევზაძე-კვიტაშვილს „ცოდვები“ შეახსენეს

მერი ნამორაძე

საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია, რომ უნივერსიტეტების რექტორთა ნაწილმა სამოქალაქო კოდექსში ამა წლის 19 აპრილს შეტანილ ცვლილებაზე პრეზიდენტს ვეტოს დადება სთხოვა. ცვლილება უნივერსიტეტების საჯარო სამართლის სუბიექტებად გადაქცევას ეხება, რაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ-ს რექტორებმა გააპროტესტეს. გიგი თევზაძემ და ალექსანდრე კვიტაშვილმა პრეზიდენტს თხოვნით მიმართეს დაადოს ვეტო სამოქალაქო კოდექსში შეტანილ ცვლილებას. არგუმენტად გიგი თევზაძემ ის მოიყვანა, რომ ცვლილება მთავრობას უფლებას აძლევს უხეშად ჩაერიოს არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით არსებული უმაღლესი სასწავლებლების – სახელმწიფო უნივერსიტეტების ფუნქციონირებაში. ასევე, მოახდინოს მათი რეორგანიზაცია უმაღლესი სასწავლებლის მოქმედი სუბიექტების, პროფესორების და სტუდენტების მიერ არჩეული – კოლეგიალური მმართველობითი ორგანოების დაუკითხავად და მათი ნების საწინააღმდეგოდ. ამით გაუქმდება უნივერსიტეტების ფუძემდებლური პრინციპი – აკადემიური თავისუფლება, რომლის უპირობო წყაროც უნივერსიტეტების თვითმმართველობაა. ამასთან, ეს შესწორება გააადვილებს მთავრობის მიერ უმაღლესი სასწავლებლების უძრავი, მოძრავი და ინტელექტუალური საკუთრების მითვისებას.

თევზაძემ ისიც განაცხადა, რომ 19 აპრილის შესწორება სპობს იმ საფუძველს, რომელიც საქართველოში ბოლო 9 წლის განმავლობაში ვითარდებოდა უნივერსიტეტებთან მიმართებაში, რამაც გამოიწვია საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლებისა და კვლევის ხარისხის უპრეცედენტო ზრდა და შესაბამისად, მათი მნიშვნელოვანი წინსვლა საერთაშორისო აკადემიურ რეიტინგში.

მეორე მხრივ, დასახელებული უმაღლესი სასწავლებლის თავკაცები არ ეწინააღმდეგებიან რომელიმე უნივერსიტეტმა გადაწყვიტოს საჯარო სამართლის სუბიექტად გახდომა, სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთობა და ავტონომიურობის დათმობის ხარჯზე კონკრეტული პრივილეგიების მიღება. ამის საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირება შესაძლებელია, ოღონდ, საკანონმდებლო დონეზე ისიც უნდა დაფიქსირდეს, რომ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის ყველა კოლეგიალური მმართველი საბჭოს თანხმობითა და სურვილით.

თევზაძე-კვიტაშვილის მიმართვას გამოეხმაურა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა, რომლებმაც საზოგადოებას და მიმართვის ავტორებს შეახსენეს, რომ 2010 წელს განათლების სამინისტრომ მათი უნივერსიტეტი (თეუსუ) თსუ-ს შეუერთა. ამის შემდეგ „ჩამოგვართვეს შენობები, წაგვართვეს სტუდენტები, მიითვისეს ჩვენი ინტელექტუალური აქტივობითა და ეკონომიით დაგროვილი ქონება, დაგვირღვიეს ხელშეკრულებები, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაგვატოვებინეს სამუშაო, რიგი თანამშრომლებისა ღირსადაც არ გახადეს ეცნობებინათ, რომ შეუწყდათ ხელშეკრულება და სამუშაო,“ – აცხადებენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები. მათივე განცხადებით, თეუსუ-ს შემთხვევაშიც დაირღვა ყველა ის პუნქტი, რაც აშფოთებთ ალექსანდრე კვიტაშვილსა და გიგი თევზაძეს.

„ეს ჩვეული ცინიზმია თუ წყალშემდგარი, სხვისი ჭირის ლხინის ჩხირად ამღიარებელთა უკანასკნელი გაბრძოლება?!.. სად იყვნენ მაშინ, რატომ არ ეტკინათ გული და აღეძრათ პროტესტისა და მხარდაჭერის გრძნობები?.. რატომ არ აღიმაღლეს ხმა უკანონოდ გაუქმებული და ძალმომრეობაზე დაფუძნებული ღირსებააყრილი უნივერსიტეტის, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა უფლებების დასაცავად!.. იქნებ ახლა მაინც მივიღოთ პასუხი ამ კითხვებზე...“ – აცხადებენ პროფესორ-მასწავლებლები.

# საჩქაროდ მოსაგვარებელი პრობლემები

როლანდ ხოჯანაშვილი
,,ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო



**როგორ ვითარდება მოვლენები საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით? პოლიტიკური მოვლენების მიმართ ინერტულობა საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტად იკიდებს ფეხს, რადგან ის ძვრები, რომლებიც მიმდინარეობს სახელმწიფოში, მოსახლეობის გულგატეხილობას განაპირობებს. პასუხისმგებელი იმ ბოლო პერიოდზე, რომელიც საქართველოს ავად დაეტყო, არავინაა. შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდზე პასუხისმგებლობას ახალი ხელისუფლება ვერ აიღებს, თუმცა ელექტორატმა არჩევანი ,,ქართული ოცნების სასარგებლოდ იმიტომ გააკეთა, რომ დამნაშავეები უნდა დასჯილიყვნენ. სამწუხარო რეალობაა, რომ პროკურატურა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, რადგან სასაცილო ელფერს ღებულობს ბრალდებულისათვის არაარგუმენტირებული ,,სამხილების წარდგინება. საბოლოოდ ვღებულობთ, რომ ახალაია ვაშლის გათლაშია დადანაშაულებული ან კიდევ ,,დამნაშავეს გუბერნატორად ნიშნავენ. 7 თვეში არა მარტო ზოგიერთი სამინისტროს უმოქმედობა გამოიკვეთა, არამედ კრიმინალიც: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაგალითი ამის ნათელი მაგალითია.**

პროლეტარული აზროვნების მქონე მინისტრად დასახელებული ვიცეპრემიერი მარგველაშვილი ხალხის ფართო მასებში შედარებით პოპულარულია, ვიდრე დუმილით და უმოქმედობით სახელგანთქმული მინისტრთა კაბინეტის ,,დემოკრატი“ წევრები. მართალია, რომ კოჰაბიტაცია და არსებული საკანონმდებლო ბაზა ბევრ რამეში ხელს უშლის ახალ მთავრობას ხელს, მაგრამ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სასწრაფოდ უნდა მოხდეს. თუნდაც იგივე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების პირველადი დამუშავება. უკვე იწურება თესვის პერიოდი და ქართველი გლეხების ძალიან დიდ ნაწილს ისევ არ აქვს დამუშავებული ნიადაგი. წარმოუდგენელია, რომ ტერიტორიულ ორგანოებში მოხდეს ერთ კვირაში აგროსამუშაოების დასრულება. ამას ნათლად ხედავენ ფერმერები და ტექნიკის მოლოდინში ის დროც იწურება, რომელიც ოპტიმალურია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამას ემატება კიდევ ის ფაქტიც, რომ მიწის მესაკუთრეთა საკმაოდ დიდ ნაწილს არ მიუღია ის ბარათები, რომლითაც უნდა განხორციელდეს მიწის დამუშავება და ნომინალური მომსახურება.

ყბადაღებული თემა, რომ საქართველოს ინფრასტრუქტურის მოსაწყობად მილიონები იხარჯებოდა, შეღავათს არ წარმოადგენს მოსახლეობისათვის. ფრთიანი გამოთქმა ,,ასფალტი ვჭამოთ“ კვლავ ძალაშია. ეკონომიკური საკითხების გარდა რეგიონებში კვლავ დგას წყალმომარაგების, გარეგანათებისა და გზის პრობლემები. პატარა მუნიციპალიტეტში ერთი მნიშვნელოვანი ლაფსუსი აღმოვაჩინე: მოსახლეობა წყლის გადასახადს ისე იხდის, რომ წყალს არ აწოდებს სერვერი კომპანია. ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა, თუ რატომ იხდის გადასახადს არარსებულ მომსახურებაში. პასუხიც მარტივად იქნა მოძიებული: თუ გადასახადს არ გადაიხდის აბონენტი, მას ამოიღებენ აბონენტთა ნუსხიდან და თავიდან რეგისტრაცია 1000 ლარი დაუჯდებათ (ასე ეუბნებიან მოსახლეობას ქალაქის წყალმომარაგების წარმომადგენლები).

მძიმე ეკოლოგიური პრობლემების მიუხედავად თითქმის არაფერი ხდება გარემოს დაცვის კუთხით. რამდენიმე ბუნებადამცველი ორგანიზაციის გარდა არავის ანაღვლებს ჰესების გაუთვლელი პროექტები, არც ქართული ტყეების ბედით მინახავს დამწუხრებული გარემოს დაცვის სამინისტროში. საცინად აგდების ტოლფასია ის ფაქტი, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო ტელერეკლამებით ამბობს, რომ ნერგები დავრგოთ, პარალელურად კი ასწლოვანი ტყეები გააქვთ მეწარმეებს. როცა არსებული ეკოსისტემის დასაცავად არაფერი კეთდება, რატომ უნდა ეცადოს ვინმე, რომ ხელოვნურად გააშენოს ტყე?! ალბათ იმისთვის, რომ მერე, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, კვლავ მიადგნენ ბარბაროსი ლიცენზიანტები და ფლტვები ამოაჭრან ბუნებას.

სოციალური თანასწორობა, რომელზეც თაობები მუდმივად ზრუნავდნენ, რატომღაც ახალ ხელისუფლებასაც დაავიწყდა ნაწილობრივ. ფრიად სასიამოვნოა, რომ ჯანმრთელობის სექტორს გაეზარდა დაფინანსება, შახტებსა და მაღაროებში საწარმოო ტრამვამიყენებულ ადამიანებს ე.წ. ,,რეგრესის პენსია“ აუნაზღაურდებათ, მაგრამ რატომღაც არ გახსენდათ ჯანმრთელობის მესვეურებს, რომ ავტოქარხანასა და სამშენებლო ობიექტებზე მიყენებული საწარმოო ტრამვაც ტრამვაა და უკვე გაუქმებული საწარმოები ვერანაირად ვერ მისცემენ დახეიბრებულ ადამიანებს კომპენსაციას. ამის გარდა, საინტერესოა, როგორ მოახერხებს ,,ჯეოჰოსპიტალსის“ ერთი მუჭა შენობები და მცირე ოდენობის პერსონალი საყოველთაო დაზღვევის ამოქმედების შემთხვევაში როგორ მიიტევს ბენეფიციარებს? 25-35 პაციენტზე გათვლილი საავადმყოფოები კი არა, ცხრასართულიანი საავადმყოფოებიც კი არ ეყოფა იმ არმიას, რომლებსაც მართლა სჭირდება სერიოზული გამოკვლევა და მკურნალობა.

ეკონომიკური წინსვლის პერსპექტივაც ნაკლებად ჩანს. სოფლის მეურნობის ან ტურიზმის ხარჯზე ეკონომიკური წინსვლის იმედი არ უნდა გვქონდეს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების უმეტესობა არასასაქონლო დანიშნულებით აწარმოებს პროდუქციას, ანუ აგროპროდუქტები საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იქმნება საქართველოში. რაც შეეხება ტურიზმს, საქართველოს ტურისტული სფერო კი არა, მეგატურისტული ქვეყნებიც კი ეკონომიკურ კრიზისში გადაეშვნენ. მრეწველობისა და სხვა დარგების განვითარება ძალიან უმნიშვნელოა. ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად აბსურდულ სიტუაციაშია ეკონომიკა, რომ მკითხავების ინსტიტუტს თუ გამოვიყენებთ პროგნოზირებისათვის. სამაგალითოდ განვიხილოთ ჭიათურაში მანგანუმის რეწვის საკითხი. 2007 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ შპს ,,ჯორჯიან მანგანეზს“ მიჰყიდა ,,ჭიათურმანგანუმი“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და ვარციხჰესების კასკადი. ,,ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრების მმართველისაგან ნასყიდობის საფუძველზე საეჭვო ვითარებაში გადაცემა ,,ჯორჯიანმანგანეზისადმი“ მრავალ კითხვას ბადებს, თუმცა ამ ეტაპამდე არ არსებობს პასუხი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე: როგორ გაიყიდა 112 მილიონ დოლარად ისეთი აქტივები, როგორიც გახლავთ ჰესი, მეტალურგიული კომბინატი და ჭიათურის უმდიდრესი მანგანუმის საბადოები პირველადი გადამამუშავებელი საწარმოებებით; ამას ემატება ის ფაქტიც, რომ გაკოტრების მმართველისაგან გაცემული ნასყიდობის არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ ჩანს.

ადრეც არაერთხელ ითქვა, რომ ,,ჯორჯიანმანგანეზი“ სახელმწიფოსთან დადებული ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე აწარმოებდა მანგანუმის რეწვას. რაც შეეხება ნასყიდობას, მისი შინაარსი უცნობია (სავარაუდოდ, ეს დოკუმენტიც არ არსებობს, რადგან მისი გამოთხოვის მიუხედავად დაინტერესებულმა პირებმა ვერ მიიღეს კანონით გათვალისწინებულ ვადებში).

2013 წლის 21 მარტს კვლავ გაიყიდა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ირკვევა, რომ შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელმა შპს ,,გ.მ. ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმიტედმა“ ,,ჯორჯიან ამერიქენ ელოიზზე“ მოახდინა თავისი აქტივების გასხვისება. რამდენად გასხვისდა ,,ჯორჯიან მანგანეზი“ ,,ამერიქენ ელოიზზე“ საკითხავია, რადგან კომპანიის დირექტორად კვლავ ვ. ლოზინსკი რჩება და ფაქტია, რომ ადმინისტრაციულად თითქმის არაფერი შეცვლილა. ფიქრობენ, რომ ეს ორი შპს ერთი და იმავე პირებისაა და მოსალოდნელი მოკვლევებისათვის თავგზის ასაბნევად ხდება ხელიდან ხელში გადაცემა ქართული სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ფლაგმანისა.

ვინ გაარკვევს ,,ჯორჯიანმანგანეზის“ საკითხს და მოევლება კი იმ პრობლემას?! ველური ფორმებით მოპოვებითი მრეწველობის განვითარებას არა მარტო ეკოლოგიური პრობლემები მოაქვს, არამედ მასზე მიბმულია ჯანმრთელობის გაუარესებაც. ამის გამოა, რომ ზემოიმერეთში უკვე აღარავის უკვირს სიმსივნური დაავადებების ფართო გავრცელება. ,,ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხზე მალე შემოგთავაზებთ ინტერვიუს მაჟორიტარ დეპუტატ მალხაზ წერეთელთან.

# როგორი პავილიონი ექნება საქართველოს ვენეციის ბიენალეზე?

ეკა ირემაშვილი

როგორი პავილიონი ექნება საქართველოს ვენეციის ბიენალეზე? კულტურის სამინისტროს ცნობით, საქართველოს პავილიონი 55-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე, ვენეციის ბიენალეზე წარმოდგენილი იქნება არსენალეს ძველი შენობის პარაზიტული მიშენება-განვრცობის სახით. კავკასიის რეგიონისთვის დამახასიათებელი ეს არაფორმალური სტრუქტურა, რომელსაც „კამიკაძე ლოჯია" ჰქვია, აიგება მხატვარ გიო სუმბაძის მიერ, რომელიც იკვლევს ამგვარ არქიტექტურულ დანამატებს.

– თანამედროვე შენობებზე მიშენების, მათი განვრცობა-გაფართოების ადგილობრივი ტრადიცია ჩამოყალიბდა 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როგორც ორგანული, ბუნებრივი რეაქცია ახალ, „უკანონო" დროებაზე. ეს მინაშენები ზრდის საცხოვრებელ სივრცეს, ძირითადად გამოიყენება რა ტერასებად, დამატებით საცხოვრებელ ოთახებად, ღია მაცივრებად, ან, როგორც სუმბაძის შემთხვევაში, მხატვრის სტუდიებად. ამბობენ, რომ რუსმა ჟურნალისტმა დაარქვა მათ „კამიკაძე", გაავლო რა პარალელი ამგვარი მცდელობებისა და მისწრაფებებისა ქართველთა რომანტიკულ და თვითმკვლელ ბუნებასთან. გარდა ამისა, ქართული გვარები ძირითადად „ძე"-ზე თავდება. ეს არქიტექტურა ასევე ეხმიანება ლოკალურ, პალიმფსესტური შენების მეთოდს, რომელიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, შესაძლებლობას იძლევა ახალი სახლები აშენდეს უკვე არსებულის ფაქტობრივად თავზე, კავკასიის მთების ციცაბო ფერდობებზე: ამდენად ხდება არა წარსულის მონუმენტიზირება, არამედ მასზე დაყრდნობით და მის საფუძველზე განვრცობა, – ნათქვამია კულტურის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

სამინისტროს ცნობით, წელს საქართველოს პავილიონს ექნება კამიკაძე ლოჯიის ფორმა, უმასპინძლებს რა ჯგუფი ბულიონის, ნიკოლოზ ლუთიძის, გიო სუმბაძის, თეა ჯორჯაძის, გელა პატაშურის, ეი არაკავასა და სერგეი ჩერეპნინის გამოფენას. გამოფენის ამოსავალი იდეა იქნება არაფორმალური არქიტექტურის შექმნა, დომინანტურ სტრუქტურებზე უარის თქმის მანიფესტაცია იმისთვის, რათა გააერთიანოს დროებითი თავისუფლება, ადგილობრივი თვითგამორკვევა და საბჭოთა ინფრასტრუქტურულ მემკვიდრეობაზე კვლავ მიმდინარე მშენებლობის პროცესის გაცნობიერება. გამოფენა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს არაფორმალობათა უჩვეულო რიგი, თავდაყირა გადაწყვეტები და თვითორგანიზაციის კონცეფციის ხასიათი ქართულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში.

– პერფორმატულობის საშუალებით გამოფენა შეეცდება მიმოიხილოს ადაპტაციებში, სუბვერსიულ სტსრატეგიებში, ჩრდილოვან ეკონომიკაში არსებული და გაზიარებული ცოდნის პოტენციალი; გამოიკვლიოს რეგულაციების გვერდის ავლის გზები თვით-ინიცირებული გარემოს ადგილობრივი მაგალითების გათვალისწინებით, როგორიცაა „კამიკაძე ლოჯია", „ევრორემონტი", „გალამაზება" ან საბჭოთა მემკვიდრეობის მოდიფიცირება. პროექტი ასევე მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ზემოაღნიშნულის კრიტიკული და ხშირად პროგრესული პოტენციალი: შეიცავს რა მრავალმხრივი მეორადი გამოყენების შესაძლებლობას, დღევანდელ კულტურულ დისკუსში ყოველივე ეს აშკარად მონაწილეობს როგორც სიცოცხლისუნარიანი, თვით-ორგანიზებადი პარალელური მიზანშეწონილობა, – განმარტავენ კულტურის სამინისტროში.

გამოფენის გახსნის დღეებში მხატვრები სივრცეს აითვისებენ დადგმული, პერფორმატიული სიტუაციების მთელი სერიითა და ქორეოგრაფიული ჩანართებით, როგორც ლოჯიაში, ისე მის გარეთ, არსენალეში. კამიკაძე ლოჯიის გამოფენა კრიტიკულ და პროგრესულ თვალს შეავლებს უკანასკნელი 20 წლის საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ აურას, ისევე, როგორც თანამედროვე ხელოვნებასა და არქიტექტურას ამ სივრცეში. ამდენად ის გააცნობს მნახველს იმ ქვეყნის სახელოვნებო სცენას, რომელზეც ზოგჯერ ამბობენ, რომ ეს იგივე „იტალიაა, რომელიც გამარქსისტდა". ვენეციის ბიენალეზე კომისარი იქნება საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, კურატორი – იოანა ვარშა, მრჩეველი – ნანა ყიფიანი, კურატორის ასისტენტი – სანდრა ტეიტგე, პროექტის მენეჯერები – გვანცა თურმანიძე, ნინო ბეზარაშვილი, ანა ასათიანი, მხარდაჭერა და დაფინანსება – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ვენეციის ბიენალე პირველი ივნისიდან 24 ნოემბრამდე იქნება წარმოდგენილი. წინასწარი დათვალიერება 29-31 მაისს გაიმართება. გამოფენის ადგილი კი კამიკაძე ლოჯიაა არსენალესთან. აკრედიტაცია ვენეციის ბიენალეზე დასასწრებად ქართველი ჟურნალისტებისთვის კულტურის სამინისტროში უკვე დაწყებულია.

კულტურის სამინისტრო ასაჯაროებს იმ ხელოვანთა მონაცემებს, რომლებიც წლევანდელ ვენეციის ბიენალეში იღებენ მონაწილეობას.

„ჯგუფი ბულიონი არის მხატვართა ჯგუფი, რომელიც დაარსდა 2008 წელს თბილისში. ჯგუფი ბულიონის პერფორმანსები, აქციები და არტისტული ინტერვენციები ძირითადად ხორციელ-



დება საზოგადოებრივ ადგილებში. ისინი ასევე აწყობენ გამოფენების სერიას კერძო ბინებში, ეხმიანებიან რა ამით ბინების როლს საბჭოთა კავშირში – ეს იყო სივრცეები, სადაც იმართებოდა იმგვარი საზოგადოებრივი დებატები ან გამოფენები, რომლებიც ოფიციალურად არ იყო მხარდაჭერილი-გაკონტროლებული. ჯგუფი მონაწილეობდა ორ სახელოვნებო პროექტში, რომლის კურატორი იყო იოანა ვარშა: ერთია ბეთლემი-მიკრო-რაიონი, მეორე კი – გაყინული მომენტები. არქიტექტურა გვპასუხობს. მათ ჰქონდათ გამოფენები სომხეთში, პოლონეთში, კრაკოვში და არსენალი ბიალისტოკში, გერმანიაში, ლაიპციგში. კამიკაძე ლოჯიის პროექტში საქართველოს პავილიონში ჯგუფი გააგრძელებს კვლევას საზოგადოებრივსა და პრივატულზე, რელიგიასა და იდეოლოგიაზე.

თეა ჯორჯაძის სკრუპულოზური ობიექტები, კონსტრუქციები და ინსტალაციები ხშირად ეხმიანება არქიტექტურულ, ზოგჯერ ნაცნობ და ზოგჯერ უცნობ სტრუქტურებს, იმოწმებს რა მოდერნიზმს, ისევე როგორც მეცნიერებას, მუსიკას, არქეოლოგიას და პოლიტიკას. ჯორჯაძე თავისი მრავალნაწილიანი სკულპტურული ანსამბლებისთვის იყენებს ყოველდღიურ მასალებს, როგორიცაა კერამიკა, მუყაო, ტექსტილი ან თაბაშირი და მათთან ერთად ნაპოვნ ნივთებს. ის მიმართავს მყიფე და მყარი მასალების კომბინირებას, ხის ან ფოლადის კონსტრუქციებს, რომლებიც ავეჯის, მოაჯირების, მაგიდების ან წიგნის კარადების რემინისცენციებს ქმნის. მასზე ერთ-ერთ მთავარ, თუმცა არა აშკარა, გავლენას ახდენს ქართული არაფორმალური არქიტექტურა და მისი კავშირი ლანდშაფტთან. უკვე ოცი წელია, რაც ის ბერლინში ცხოვრობს. ახლახან იგი მონაწილეობდა დოკუმენტა 13-ში, გახსნა სოლო-გამოფენები მალმოს კუნსტჰალეში, კიოლნის კუნსტფერაინში, ბაზელის კუნსტჰალეში და ასპენის ხელოვნების მუზეუმში.

ნიკოლოზ ლუტიძეს განსაკუთრებით აინტერესებს პერფორმატიული ელემენტები არქიტექტურაში და ურბანული ქსოვილის ცვლილება საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ. 2010 წლიდან ის მუშაობს აქციების მთელს სერიაზე, რომელიც ეფუძნება ევრორემონტის კონცეფციას. ესაა ადგილობრივი ნეოლოგიზმი, რომელიც გამოხატავს ზედაპირული განახლების პროცესს ე.წ. ევროპული სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს პავილიონში კამიკაძე ლოჯიისთვის ის გააგრძელებს ამ სერიას. მისი პერფორმანსები, ერთდროულად სასაცილოცა და გონიერიც, მიზნად ისახავს შექმნას კრიტიკული დისკუსიის პირობა კომუნიზმის მემკვიდრეობასა და საბჭოთა ესთეტიკის გავლენაზე საქართველოში. ნიკოლოზ ლუტიძე არის დოკუმენტური ფილმის გამოხატვის თავისუფლების ავტორი. ეს ფილმი ნაჩვენები იყო ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრებში მთელს კავკასიაში.

გელა პატაშურის, ეი არაკავას და სერგეი ჩერეპნინის – ქართველის, იაპონელისა და ამერიკელის – თანამშრომლობა შემთხვევით დაიწყო თბილისში გრანდ ოუფენინგის პერფორმანსის დროს, რომელიც იყო თბილისის პროექტის სერიის ნაწილი. ამას მოყვა პატაშურის, არაკავასა და ჩერეპნინის ჯგუფური ინტერდისციპლინური პერფორმანსები, რომელიც შეიცავდა დადგმულ სიტუაციებს, ქორეოგრაფიულ ჩანართებს, პროცესზე ორიენტირებულ ხმისა და ბგერის ურთიერთქმედებებს და ერთგვარ თამაშს არქიტექტურასა და ლანდშაფტთან, როგორც მედიუმთან. მათ წარმოადგინეს თავისი პერფორმანსები უტრეხტში, ლონდონის შოურუმში, ბეტონსალონსა და ბრეტინის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში პარიზში, ისევე როგორც თბილისის პროექტში გაყინული მომენტები. არქიტექტურა გვპასუხობს. ვენეციის 55-ე ბიენალესათვის ისინი გეგმავენ დადგან მუსიკალური კომპოზიცია, რომელშიც გამოყენებული იქნება ალექსი ბახნელის, მშენებლის, გელას მამის, 277 ლექსი. ეს ლექსები მან დაწერა 1978-სა და 2003 წლებს შორის. ტრიო გამოიყენებს 277 ლექსის პირველ პწკარს და შექმნის სიმღერების სერიას, რომელიც შესრულდება კამიკაძე ლოჯიასა და მის გარეთ.

გიო სუმბაძე ძირითადად მუშაობს ჯგუფთან ერთად. არის თბილისის ჯგუფის გოსლაბის წევრი და ურბანული კვლევის ლაბორატორიის დამფუძნებელი, რომელიც წარმოადგენს თბილისელი მხატვრების, არქიტექტორებისა და ფოტოგრაფების პლატფორმას. ლაბორატორია ქმნის საბჭოთა ინფრასტრუქტურის ხელახალი მოხმარების პროცესის დოკუმენტირებას და ახდენს მის დაარქივებას, სწავლობს მის ურთიერთკავშირს მარქსისტული იდეოლოგიის ეროზიასთან. ლაბორატორია ასევე ქმნის თბილისის სოციალურ საცხოვრებელთა მონაცემთა ბაზას, ძირითადად მიკრორაიონებში, უზარმაზარ თანამედროვე საცხოვრებელ გარეუბნებში, ფოკუსირდება რა მათ პოსტ-საბჭოთა მდგომარეობაზე. როტერდამის არქიტექტურის ბიენალესთან ერთად ლაბორატორიამ განავითარა პროექტი თბილისის ახალი რუკა, რომელიც ეხებოდა საცხოვრებლების გამალებულ მშენებლობებს თბილისში. სწორედ ამ კვლევებზე დაყრდნობით სუმბაძემ შექმნა კამიკაძე ლოჯია, როგორც ქართული პავილიონის ფორმა.

კომისარი მარინე მიზანდარი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილეა. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, არის ხელოვნების ისტორიის დოქტორი. იგი იყო მრავალი კულტურის პროექტის ავტორი და ინიციატორი საქართველოში, ბელგიასა და გერმანიაში. ეს ინიციატივები შეიცავდა ინტერკულტურულ აქციებსაც, რომელშიც მონაწილეობდნენ კულტურის სხვადასხვა წარმომადგენლები ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ის კულტურის თემებზე კითხულობდა ლექციებს პარიზში, ფრაიბურგში, ლუვენ-ლანევში. ამას გარდა ის მონიტორინგს უწევდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს კულტურის სფეროში ალჟირში, აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, ეგვიპტეში, იორდანიაში, ლიბანში, მაროკოში, საქართველოში, სომხეთში, უკრაინასა და ტუნისში. მას აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დარგში.

კურატორი იოანა ვარშა არის ვიზუალური, პერფორმატიული ხელოვნებისა და არქიტექტურის კურატორი. ის იყო მე-7 თანამედროვე ხელოვნების ასოცირებული კურატორი. ვარშა ძირითადად მუშაობს საზოგადოებრივ სივრცეებში, იკვლევს მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობებს. 2009 და 2010 წლებში ის მუშაობდა თბილისში ორ პროექტზე: ბეთლემის მიკრო-რაიონი და გაყინული მომენტები. არქიტექტურა გვპასუხობს, რამაც შედეგად გამოიწვია ის, რომ იგი გახდა ვენეციის ბიენალეს 55-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენაზე საქართველოს პავილიონის კურატორი. იოანა ვარშა არის თბილისის პერფორმატიული არქიტექტურის გზამკვლევის გამომცემელი, რომელიც გამოაქვეყნა შტერნბერგის გამომცემლობამ 2013 წლის მაისში და ერთ-ერთი კურატორი გოტენბორგის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალესი, რომელიც 2013 წლის სექტემბერში გაიხსნება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამაჯანსაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# რეზი არველაძე: იდეის არსებობას უფლება აქვს

აზერბაიჯანში გამართულ იქაური ვეტერანებისა და მსოფლიოს ვარსკვლავების მატჩში მონაწილეობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რეზი არველაძემაც მიიღო. აზერბაიჯანული პრესა



სფფ-ს მაღალჩინოსნისგან უფრო იმ ინფორმაციით დაინტერესდა, რომელიც სფფ-ს პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ რამდენიმე დღის წინ გააჟღერა — საქართველო-აზერბაიჯან-ყაზახეთის ერთობლივი საფეხბურთო ჩემპიონატი.

— ჯერ კიდევ ორი კვირის წინ, ქართული ფეხბურთის ჩინოვნიკები კომენტარს საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის გაერთიანებული ჩემპიონატის თაობაზე აკეთებდნენ.

— ეს მხოლოდ იდეაა, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ გაახმოვანა. ვფიქრობ, რომ ეს საინტერესოა. დეტალებზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი. უბრალოდ, ცნობილია სამი ქვეყანა.

— თქვენ ამის გჯერათ?

— რა თქმა უნდა, ბევრი ფაქტორი არსებობს, რომლებსაც ამ იდეის ჩაშლა შეუძლიათ. თუმცა, პირველ ყოვლისა ფიფასა და უეფას აზრი უნდა გავიგოთ. თუ ტურნირის ჩატარების შანსი იქნება, მაშინ შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა ვარიანტებს განიხილავს. ერთი მხრივ, იდეა საინტერესოა, მეორე მხრივ, გამოჩნდა ხალხი, რომელიც მას მხარს არ უჭერს.

— საქართველოს იდეას მხარი აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა არ დაუჭირეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში ის ისე აქტიურად არ განუხილავთ, როგორც თქვენთან.

— სიმართლე გითხრათ, ჩვენ ეს იდეა სერიოზულად ჯერ არც ჩვენ განგვიხილავს. ასე რომ, დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა. იმის შესახებ არ გვისაუბრია, ამ ტურნირზე რამდენი გუნდი ითამაშებს, მატჩებს ვინ მოემსახურება, როგორი კვოტები იქნება. ჯერ მხოლოდ იდეაა, რომელსაც სხვა იდეების მსგავსად არსებობის უფლება აქვს.

— რას იტყვით ბაქოში ჩატარებულ აზერბაიჯანისა და მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავების მატჩზე?

— ასეთ მატჩებში ყოველთვის ბევრი ემოციაა. მატჩში ბევრი ისეთი მოთამაშე მონაწილეობდა, რომლებსაც ერთმანეთი რამდენიმე წელია არ უნახავთ. ზოგიერთს დიდი ხანი ფეხბურთი არ ჰქონდა ნათამაშები. ყოველთვის სასიამოვნოა მეგობრებთან ერთად შეკრება მეგობრულ აზერბაიჯანში.

— რა გასაკვირიც უნდა იყოს, თამაში ფრედ დასრულდა. შედეგზე წინასწარ მოილაპარაკეთ?

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ამის შესახებ საერთოდ არაფერი გამიგია. არა მგონია, რომ ამ შეხვედრის შედეგი წინასწარ მოლაპარაკებული ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მე არავინ მომლაპარაკებია.

# ეპოქა დასრულდა — მანჩესტერში ფერგის შემცვლელს ეძებენ

„მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის, სერ ალექს ფერგიუსონის გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან წასვლის ინფორმაცია კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა.

ფერგი თანამდებობას უახლოს მომავალში დატოვებს და სამწვრთნელო კარიერას დაასრულებს. ბოლო შეხვედრას „იუნაიტედი" შოტლანდიელის ხელმძღვანელობით 19 მაისს „ვესტ ბრომვიჩის" წინააღმდეგ გამართავს, რის შემდეგაც იგი კლუბში ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობას დაიკავებს.

— ამ გადაწყვეტილების მისაღებად ახლა ყველაზე შესაფერისი დროა. მთავარი იყო, გუნდი რაც შეიძლება კარგ მდგომარეობაში დამეტოვებინა, რაც, მგონი, მოვახერხე. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ძალიან ბევრი ვიფიქრე. დადგა დრო, ეს ნაბიჯი გადავდგა. მოხარული ვიქნები, თუკი „მანჩესტერ იუნაიტედში" სხვა საქმეს გავაკეთებ. მაგალითად, ვიქნები გუნდის დირექტორი ან ელჩი. მადლობა გულშემატკივრებს, რომლებიც მთელი ამ წლების განმავლობაში ერთგულად მედგნენ გვერდით. ამაყი ვარ, რომ ამ კლუბთან ერთად ამდენ ხანს ვიმუშავე, — განაცხადა ფერგიუსონმა.

შეგახსენებთ, რომ 71 წლის შოტლანდიელი სპეციალისტი „წითელ ეშმაკებს" 1986 წელს ჩაუდგა სათავეში. 26 წლის განმავლობაში გუნდმა მისი ხელმძღვანელობით 13 საჩემპიონო ტიტული, ასოციაციის 5 თასი, ლიგის 4 თასი, ინგლისის 10 სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგის 2 თასი, უეფას თასების მფლობელთა თასი, უეფას სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი, ერთხელ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი საუკეთესო გუნდის ტიტული მოიპოვა.

სერ ალექსი 2002 წელს ინგლისის ფეხბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს. არის ინგლისური ფეხბურთის ეროვნული მუზეუმის ვიცე-პრეზიდენტი.

ვინ გახდება „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ? ეს აქტუალური საკითხი ბრიტანულმა საბუკმეიკერო კანტორებმა მომენტალურად აიტაცეს და ფსონებიც უმალ გამოამზეურეს.

ყველაზე რეალურ კანდიდატებად ტოტალიზატორები შოტლანდიელ დევიდ მოიეს მიიჩნევენ, რომლის კოეფიციენტი 1.25 არის. მას შემდეგ მოდიან: პორტუგალიელი ჟოზე მოურინიო (4.5), გერმანელი იურგენ კლოპი (15.0), ნორვეგიელი ოლე-გუნარ სოლკიაერი (26.0) და მანჩესტერელთა მოქმედი ფეხბურთელი რაიან გიგზი (34.0).

# ჯანლუიჯი ბუფონი: არ შემიძლია დრო გავაჩერო

**ის მსოფლიო ფეხბურთის ტიტანია. უკვე 12 წელია ჯანლუიჯი ბუფონი „იუვენტუსის" შეუცვლელი მეკარეა, მემკვიდრე დიდი დინო ძოფისა.**

ჯიჯის სანაკრებო კარიერა 1997 წლის 29 დეკემბერს, მოსკოვში, რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ შედგა და მთელი ამ დროის განმავლობაში, 125 ჯილდო დააგროვა. მათ შორის ყველაზე ღირებული 2006 წლის მსოფლიო თასი და ლევ იაშინის სახელობის „ოქროს ხელთათმანია", რომელიც გერმანიაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე მოიპოვა. ჯილდო ტურნირის საუკეთესო მეკარეობისთვის მიიღო. ის ჩეზარე პრანდელის ნაკრებში მოსვლის შემდეგაც დარჩა ნაკრების კაპიტნად.

„სუპერ ჯიჯი" — ასე ეძახიან გულშემატკივრები მეკარეს, რომელსაც მოედნის შესანიშნავი ხედვა აქვს და ჯერ არც კი ფიქრობს პენსიაში გასვლაზე. ბუფონს სურს „იუვემ" კიდევ უფრო მეტი ჯილდო მოიგოს. ფეხბურთელს ასევე სურვილი აქვს ნაკრებმა კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიოს და ბრაზილიაში გასამართ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩემპიონობასაც გამოჰკრას ხელი.

***— 14-წლამდე ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდი. მეკარე 1990 წელს კამერუნელი გოლკიპერის ტომას ნკონოს გავლენით გახდით, რომელიც იმ პერიოდში იტალიაში თამაშობდა. ეს მართლაც ასე იყო?***

— დიახ, ეს ასე იყო. ტომას ნკონო და მისი ეფექტური სეივები გახდა მიზეზი იმისა, რომ მეკარე გავმხდარიყავი. ის ჩემი გმირი იყო და მის პატივსაცემად ჩემს უფროს შვილს ლუის-ტომასი დავარქვი. როდესაც შვილი გამიჩნდა, ნკონომ დამირეკა და მომილოცა.

***— ამბობენ, მეკარეები ღვინოსავით არიანო: წლების მატებასთან ერთად უკეთესნი ხდებიანო. შენი აზრით, რა ასაკში მიაღწიე კარიერის პიკს?***

— არც კი ვიცი. ბევრისთვის 30 წელია მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მომენტი ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი სპორტში. მას შემდეგ, რაც 30 წელს მიაღწევ, შენს გამოცდილებას უნდა დაეყრდნო როგორც ცხოვრებაში, ასევე სპორტში. მუხლჩაუხრელად უნდა იშრომო იმისთვის, რომ მაღალი დონე შეინარჩუნო.

***— რას ფიქრობ, შეძლებს კი მეკარე კაპიტნის მოვალეობების შესრულებას, როდესაც თამაშს საკმაოდ შორიდან ადევნებს თვალს?***

— არასდროს მიფიქრია, რომ კაპიტნის სამკლაურის ტარება ნიშნავს მხოლოდ კაპიტნობას. ნამდვილი კაპიტანი — ეს არის მნიშვნელოვანი ფიგურა გუნდში და მოედანზე, მნიშვნელობა არ აქვს, რა პოზიციაზე თამაშობს ის.



***— რომელ მცველებს უგებდი ყველაზე მეტად?***

— ასეთი ადამიანი ხუთია: ფაბიო კანავარო, ლილიან ტიურამი, ანდრეა ბარძალი, ლეონარდო ბონუჩი და ჯორჯო კიელინი.

***— კარგი სეივი ისევე საჭიროა, როგორც გოლი?***

— სიმართლე გითხრათ, კი. ყოველმა მეკარემ იცის, რამდენად რთულ კომპენსაციად უჯდება შეცდომა. მეკარის პოზიცია მაქსიმალურ ყურადღებას ითხოვს, მენდეთ. თავს მოდუნების საშუალება არ უნდა მისცე.

***— შენს კარიერაში რომელი სეივი იყო საუკეთესო?***

— ძალიან რთულია ერთი ამოირჩიო. ჩემს კარიერაში მსგავსი მაგალითი ბევრია, მაგრამ მსოფლიო 2006 წლის ჩემპიონატის ფინალში ზინედინ ზიდანის დარტყმული, რომელიც გადამწყვეტი დარტყმა იყო ჩვენთვის, ამიტომაც დამამახსოვრდა.

***— პირველი სეზონში „იუვენტუსის" (2001-02) შემადგენლობაში მხოლოდ 23 ბურთი გაუშვი ჩემპიონატის 34 შეხვედრაში. ეს ჯერ კიდევ რეკორდია?***

— ნამდვილად, ეს ჯერ კიდევ ჩემი საუკეთესო რეკორდია. ძალიან კარგი იქნება თუ 11 წლის წინანდელ რეკორდს გავაუმჯობესებ.

***— შენს ანგარიშზე საკლუბო დონეზე 800 და სანაკრებო დონეზე 126 მატჩია. მთელი ამ დროის განმავლობაში რომელ მწვრთნელს გაუგე ყველაზე კარგად?***

— შეიძლება ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ ყველა მწვრთნელი ვისთანაც მიმუშავია, ჩემი კარიერის განვითარებაში გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ანტონიო კონტე მათგან ყველაზე საუკეთესოა. რომელმაც შეძლო გუნდი ისე მოემზადებიან, რომ ზედიზედ 2 წელია ჩემპიონები ვართ.

***— რომელი თავდამსხმელი გიქმნის ყველაზე მეტ პრობლემას?***

— ზლატან იბრაჰიმოვიჩი. ის მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელია. მისი ყოველი დარტყმა ბევრ უსიამოვნებაში მხვევს.

***— რას ნიშნავს შენთვის „იუვენტუსი"?***

— ცხოვრება, წარმატება, ბრძოლა და ვალდებულება. ეს არის ოჯახი, სადაც გავიზარდე და სხვებსაც დავეხმარე განვითარებაში. ეს არის არჩევანი, რომელსაც ირჩევ შენ ცხოვრებაში, სტილი ცხოვრებისა, თუ გსურს.

***— 35 წლის კაპიტანი რას ფიქრობს, როცა 19 წლის ახალგაზრდებს ხედავას, რომლებიც მომავალში მისი შემცვლელები გახდებიან?***

— დრო არავისთვის ჩერდება. 17 წლის ვიყავი, როდესაც კარიერა დავიწყე, ახლა კი 35 წლის ვარ. არ შემიძლია დრო გავაჩერო. მომავალი ახალგაზრდებისაა და მე მათ ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ და ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ მათ.

***— ბოლო დროს იტალია, ასე ვთქვათ, თავშეუკავებელ ფეხბურთს თამაშობს. საქმე ძლიერ თავდასხმაშია?***

— ეს ჩეზარე პრანდელის დამსახურებაა. ვფიქრობ, ჩვენ ბოლოს და ბოლოს შევძლებთ ბალანსირებას დაცვასა და თავდასხმას შორის, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს ფორვარდებს წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები.

***— მიიჩნევ თუ არა კონფედერაციის თასს გენერალურ რეპეტიციად ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის წინ?***

— უფრო მეტიც. ეს შესანიშნავი ტესტი იქნება ჩვენთვის.

***— რომელ გუნდთან გსურთ ფინალში შეხვედრა?***

— ბრაზილიასთან. მისი ისტორიიდან გამომდინარე და კიდევ იმიტომ, რომ ყოველთვის საინტერესოა მასპინძელ გუნდთან შეხვედრა.

***— ცოტა ხნის წინ საფეხბურთო კლუბი „კარარეზე" შეიძინეთ. როგორ მოგმართოთ — კაპიტანო თუ პრეზიდენტო?***

— უბრალოდ ჯიჯი დამიძახეთ.

# შეცვლის თუ არა ბაიერნი ისტორიას

მოგეხსენებათ, 25 მაისს ლონდონში, „უემბლიზე" „ბაიერნისა" და „დორტმუნდის" შესრულებით გერმანული ფინალი უნდა ვნახოთ, რაც ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. არ არის გამორიცხული, ამ ქვეყნის ფეხბურთისთვის 1997 წელი განმეორდეს. ხსენებულ სეზონში „დორტმუნდმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო, „ბაიერნმა" ჩემპიონატში იპირველა, თასი კი „შტუტგარტმა" დაისაკუთრა.

ახლაც სწორედ ასე ვითარდება მოვლენები: რეკორდმაისტერი ლიგის ფინალში „დორტმუნდს" ხვდება, თასის ფინალში კი „შტუტგარტს" დაუპირისპირდება. მოდით, ერთად გავიხსენოთ 1997 წელი...

## ბაიერნის ბუნდესლიგა

ამ დროს რეკორდმაისტერმა მე-13-ედ იზეიმა ბუნდესლიგის ჩემპიონობა ჯოვანი ტრაპატონის ხელმძღვანელობით — იტალიელმა სპეციალისტმა ჩემპიონატში 2-ქულიანი უპირატესობით გაუსწრო მეორეადგილოსან (69 ქულა) „ლევერკუზენს".

გეტყვით, რომ „ტრაპი" მიუნხენურ გრანდს 1994 და 1995 წლებშიც წვრთნიდა და, სხვათა შორის, როგორც შარშან და შარშანწინ, ბუნდესლიგა მაშინაც ზედიზედ ორჯერ მოიგო „დორტმუნდმა".

## დორტმუნდის ლიგა

1997 წლის 28 მაისის მშვენიერი საღამო იყო, როდესაც „დორტმუნდმა" გერმანულ ფეხბურთში ახალი ფურცელი გადაშალა — პირველი ბუნდესგუნდი გახდა, რომელმაც ეს თასი დაისაკუთრა.

იკითხავთ, სად იყო აქამდე „ბაიერნი"? მიუნხელებს ჩემპიონთა თასი ჰქონდათ მოგებული და არა ლიგა, რაც პირველად დორტმუნდელებმა დაისაკუთრეს.

ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" დორტმუნდელებმა აშკარა ფავორიტად მიჩნეულ „იუვენტუსს" შანსი არ დაუტოვეს და 3:1 მოუგეს, რაც კლუბის ისტორიაში დღემდე უდიდესი მიღწევაა.

დორტმუნდელთა რიგებიდან, რომელთაც ოტმარ ჰიტცფელდი წვრთნიდა, კარლ-ჰაინც რიდლემ ორი გოლით გამოიჩინა თავი, ერთიც კი 20 წლის ლარს რიკენმა შეაგდო და ამის ფონზე, ახალგაზრდა ალესანდრო დელ პიეროს ზღაპრული გოლიც კი ჩრდილში მოექცა.

## შტუტგარტის თასი

გერმანიის ნაკრების ამჟამინდელ მთავარ მწვრთნელ იოაჰიმ ლიოვს პირველი სერიოზული წარმატება სწორედ „შტუტგარტში" აქვს მიღწეული და ეს გერმანიის თასზე გამარჯვება გახლდათ.

თუმცა სათქმელია ისიც, რომ შვაბებს ფინალში სუსტი მეტოქე გადაეყარათ: რეგიონალლიგელი „კოტბუსი" არ იყო მათი დამმარცხებელი — 2:0 „შტუტგარტის" სასარგებლოს და ორივე გოლი ბრაზილიელმა გოლეადორმა ჯოვანი ელბერმა გაიტანა.

სადღეისო ფაქტი კი ერთია: სასწაულად ბრწყინვალე ფორმაში „ბაიერნი" ჰეთ-თრიკის შესრულებისკენ მიიწევს, „შტუტგარტი" და მით უმეტეს, „დორტმუნდი" ხელის შესაშლელად ყველაფერს იზამენ. ვნახოთ, განმეორდება თუ არა, ისტორია...

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ვესტ ბრომვიჩი .................... 1:0
უიგანი-სუონსი .................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 36 | 27 | 4 | 5 | 79:37 | 85 |
| 2.სიტი | 36 | 22 | 9 | 5 | 62:31 | 75 |
| 3.ჩელსი | 35 | 20 | 8 | 7 | 69:35 | 68 |
| 4.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 67:36 | 67 |
| 5.ტოტენჰემი | 35 | 19 | 8 | 8 | 61:43 | 65 |
| 6.ევერტონი | 36 | 15 | 15 | 6 | 52:38 | 60 |
| 7.ლივერპული | 36 | 14 | 13 | 9 | 67:42 | 55 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 14 | 6 | 16 | 48:48 | 48 |
| 9.სუონსი | 36 | 11 | 13 | 12 | 46:46 | 46 |
| 10.ვესტ ჰემი | 36 | 11 | 10 | 15 | 41:49 | 43 |
| 11.სტოკი | 36 | 9 | 14 | 13 | 32:42 | 41 |
| 12.ფულემი | 36 | 10 | 10 | 16 | 46:57 | 40 |
| 13.ასტონ ვილა | 36 | 10 | 10 | 16 | 44:65 | 40 |
| 14.საუთჰემპტონი | 36 | 9 | 12 | 15 | 47:58 | 39 |
| 15.სანდერლენდი | 36 | 9 | 11 | 16 | 40:52 | 38 |
| 16.ნორვიჩი | 36 | 8 | 14 | 14 | 34:56 | 38 |
| 17.ნიუკასლი | 36 | 10 | 8 | 18 | 43:66 | 38 |
| 18.უიგანი | 36 | 9 | 8 | 19 | 44:67 | 35 |
| 19.რედინგი | 36 | 6 | 10 | 20 | 41:67 | 28 |
| 20.ქპრ | 36 | 4 | 13 | 19 | 29:57 | 25 |

**იტალია. სერია ა**

რომა-კიევო .................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 26 | 5 | 4 | 67-20 | 83 |
| 2.ნაპოლი | 35 | 21 | 9 | 5 | 67-33 | 72 |
| 3.მილანი | 35 | 19 | 8 | 8 | 61-38 | 65 |
| 4.ფიორენტინა | 35 | 18 | 7 | 10 | 65-43 | 61 |
| 5.რომა | 36 | 17 | 7 | 12 | 69-55 | 58 |
| 6.უდინეზე | 35 | 15 | 12 | 8 | 49-40 | 57 |
| 7.ლაციო | 35 | 16 | 7 | 12 | 46-40 | 55 |
| 8.ინტერი | 35 | 16 | 5 | 14 | 52-49 | 53 |
| 9.კატანია | 35 | 14 | 9 | 12 | 46-43 | 51 |
| 10.პარმა | 35 | 11 | 10 | 14 | 41-43 | 43 |
| 11.კალიარი | 35 | 11 | 10 | 14 | 41-53 | 43 |
| 12.კიევო | 36 | 12 | 7 | 17 | 34-49 | 43 |
| 13.ბოლონია | 35 | 10 | 10 | 15 | 44-49 | 40 |
| 14.ატალანტა | 35 | 11 | 8 | 16 | 36-51 | 39 |
| 15.სამპდორია | 35 | 10 | 9 | 16 | 39-46 | 38 |
| 16.ტორინო | 35 | 8 | 13 | 14 | 43-52 | 36 |
| 17.ჯენოა | 35 | 8 | 11 | 16 | 38-52 | 35 |
| 18.პალერმო | 35 | 6 | 14 | 15 | 31-47 | 32 |
| 19.სიენა | 35 | 9 | 9 | 17 | 34-52 | 30 |
| 20.პესკარა | 35 | 6 | 4 | 25 | 26-74 | 22 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**რუსეთი. თასი**

როსტოვი-ცსკა .................... 0:2(დდ)

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი .................... 4:0

## შედეგები

**ავსტრია. თასი**

ზალცბურგი-პაშინგი .................... 1:2

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

უკ დუბლინი-ბოჰემიანსი .................... 2:0

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფები**

ნიუ იორკი-ინდიანა .................... 105:79
**სერიის ანგარიში: 1:1**
ოკლაჰომა-მემფისი .................... 93:99
**სერიის ანგარიში: 1:1**

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფები**

აილენდერსი-პიტსბურგი 6:4
**სერიის ანგარიში: 2:2**
ოტავა-მონრეალი .................... 3:2(ოტ)
**სერიის ანგარიში: 3:1**
მინესოტა-ჩიკაგო .................... 0:3
**სერიის ანგარიში: 1:3**
სან ხოსე-ვანკუვერი .................... 4:3(ოტ)
**სერიის ანგარიში: 4:0**

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სუხიშვილები კონცერტისთვის ემზადებიან

ეკა ირემაშვილი

9 და 10 მაისს სუხიშვილები დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტებს გამართავენ. მოცეკვავეებს უწყვეტი რეპეტიციები აქვთ და მაყურებელთან შესახვედრად ემზადებიან. ხანგრძლივი გასტროლების შემდეგ ეს არის პირველი კონცერტი, რომელსაც სუხიშვილები თბილისში გამართავენ. ისინი ტრადიციას არც ამჯერად დაარღვევენ და ძველ და კარგად ნაცნობ ცეკვებთან ერთად, ახალ ცეკვებსაც შეასრულებენ.

ქართული ნაციონალური ბალეტი თბილისში მარტის თვეში დაბრუნდა და თვე-ნახევრიან გასტროლთან დაკავშირებით საანგარიშო პრესკონფერენცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გამართა. ანსამბლის ხელმძღვანელებმა აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებში გამართული თვე-ნახევრიანი გასტროლები შეაჯამეს. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ გენერალური დირექტორი ნინო სუხიშვილი, დირექტორის მოადგილე, აღმასრულებელი მენეჯერი ხატია ეკიზაშვილი და ანსამბლის წევრები. ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა „სუხიშვილები“ 65 კაციანი შემადგენლობით, 30 იანვრიდან 13 მარტამდე, 41 კონცერტი ჩაატარა უკრაინაში, მოლდოვასა და ბელარუსში. ანსამბლი ტრადიციული კლასიკური ნაწილის გარდა მაყურებლის წინაშე ახალი ცეკვით „ცდო“ წარდგა. გასტროლები გაიმართა საპროდიუსერო კომპანია „ალიანს შატროს“ ორგანიზებით და ამავე კომპანიასთან თანამშრომლობის შედეგად უკვე დაგეგმილია 2014 წლის გასტროლებიც.



თბილისში ბოლოს კონცერტები სუხიშვილებმა გასული წლის ბოლოს გამართეს. ანსამბლმა ტრადიციას არ დაარღვია და წინასაახალწლოდ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საშობაო კონცერტები ჩაატარა. ორდღიან კონცერტებს, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან ბევრი მაყურებელი დაესწრო. სუხიშვილებმა შეკრებილ საზოგადოებას საუკეთესო ცეკვები შეუსრულეს, თუმცა მათ შორის არ აღმოჩნდა ე.წ. მემორიალური პროგრამა, რომელიც დიდმა ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა შექმნეს. ორდღიან კონცერტებზე მთლიანად უმცროსი ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმული ცეკვები შესრულდა. კონცერტების ორგანიზატორი ტრადიციულად დავით ოქიტაშვილი იყო. სუხიშვილების რეპერტუარში არსებული უმცროსი ილიკოს მიერ დადგმულ ცნობილ ცეკვებთან ერთად მოცეკვავეებმა ახალი ცეკვაც შეასრულეს, რომელსაც უმცროსმა ილიკომ „თორი“ უწოდა.

9 და 10 მაისს დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 20-დან 50 ლარამდეა.

# მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობის მეორე ეტაპი დაიწყო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საძლებელი გახდება იმ შემოწირულობის წყალობით, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა იღებს და რომლის ოდენობაც ყოველწლიურად 200.000 ლარს უტოლდება.

– ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული. მსოფლიოში არ არსებობს სხვა ანალოგი, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი, თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით ააშენებს უდიდესი მნიშვნელობის ტაძარს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება თავისი შვილისათვის სიამაყით თქმა: ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ მთელ საქართველოსთან ერთად! მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარს მთელი ჩვენი საზოგადოება, საქართველოში მცხოვრები ხალხი და ქართული ემიგრაცია ერთად აშენებს. იქმნება ცოცხალთა და გარდაცვლილთა წიგნი, რომელშიც ტაძრის აღმშენებელი მილიონობით ქართველის გვარ-სახელი ჩაიწერება. სახალხო აქციაში უკვე 204 ათასი ადამიანია გაწევრიანებული! ჩვენ ერთად ავაგებთ ტაძარს, რომელიც გაგვაერთიანებს! ისტორიული მშენებლობა 17 აპრილს დაიწყო. ახლა უკვე მშენებლობის მეორე ეტაპი იწყება და ტაძრის კარკასი სავარაუდოდ 26 თვეში დასრულდება, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ჩვენ ერთად ავაგებთ ტაძარს, რომელიც გაგვაერთიანებს! – ასეთია ამ აქციის დევიზი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისში, მახათას მთაზე, შენდება ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი.

– 2010 წლის 24 მაისს ფონდ „იავნანას“ აქციაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქართველ ერს აუწყა ისტორიული მშენებლობის შესახებ და კურთხევა მოგვცა ყველას განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა, განათლებისა თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, გაკვერთიანდეთ და თანასწორი წვლილის შეტანით ერთად ავაშენოთ ეს უდიდესი სულიერი სავანე. ეს მართლაც უნიკალური მშენებლობა და სახალხო აქციაა, რადგან ტაძარს მთელი საზოგადოება, საქართველოში მცხოვრები ხალხი და მთელი ქართული ემიგრაცია ერთად აშენებს. მსოფლიოში მრავალი ტაძარი აშენებულა რომელიმე ორგანიზაციის ან ბიზნესმენის თანადგომით, მაგრამ მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი გამორჩეულია თითოეული ჩვენგანის თანაბარი მონაწილეობით და იგი ჭეშმარიტად ქართველი ხალხის ერთიანობის, სიყვარულისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი გულითადი თაყვანისცემის სიმბოლოდ იქცევა. ამ მშენებლობაში მთავარი სწორედ ჩვენი ერთიანობაა ღვთისმშობლის გარშემო, რომელიც სულიერად გამთლიანებულ ერს გაუძღვება ღვთისაკენ მიმავალ გზაზე. მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის აგებით, ყოველი ჩვენგანი უპირველეს ყოვლისა, ააგებს საკუთარ სულიერ ტაძარს, თავად გახდება ტაძარი ღვთისა, ჭურჭელი სულისა წმიდისა, რისთვისაც არის კიდეც მოწოდებული ადამიანი. მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსთან ერთად განთავსდება ასევე საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ქრისტიანული სწავლების გავრცელებას, თავშესაფარი ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, მონასტერთან ასევე დაფუძნდება ნარკოლოგიის სარეაბილიტაციო ცენტრი, – განაცხადა ფონდის ხელმძღვანელმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსდა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისა“, რომელიც სათავეში ჩაუდგა აღნიშნულ პროექტს. ფონდ „ივერიისას“ ოფიციალური წარდგენა გაიმართა 2010 წლის 14 სექტემბერს. ფონდისთვის პირველი შემოწირულობა მისმა უწმინდესობამ თავისი წინაპრების, ქართველი მეფეებისა და პატრიარქების სახელით გაიღო.

ფონდ „ივერიისას“ მიერ შემოთავაზებული უნიკალური სქემა ყველა ადამიანს აძლევს აქციაში თანაბარი მონაწილეობის საშუალებას. ნებისმიერი შემომწირველი, შეწირული თანხის ოდენობის მიუხედავად, 1 ლარს წირავს თავის სახელზე, ხოლო დანარჩენ თანხას – თავისი ახლობლების, ოჯახის წევრების, გარდაცვლილი წინაპრების ან სოციალურად დაუცველი ადამიანების სახელზე, ვისაც არ აქვს მატერიალური საშუალება შეეწიოს ტაძრის მშენებლობას. სწორედ ამაში მდგომარეობს აქციის თანასწორობის უნიკალური პრინციპი. იქმნება ცოცხალთა და გარდაცვლილთა წიგნი, რომელშიც ტაძრის აღმშენებელი მილიონობით ქართველის გვარ-სახელი ჩაიწერება.

2011 წლის 12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მახათას მთაზე, მთავარი ტაძრის საძირკველი აკურთხა. ცერემონიალზე დასასწრებად, საქართველოს ოცდათვრამეტივე ეპარქიის მრევლი ჩამოვიდა, თბილისს მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლები ეწვივნენ. მისმა უწმინდესობამ ამ მშენებლობას ისტორიული მოვლენა უწოდა.

– წმიდა სამების საკათედრო ტაძრის შემდგომ ღვთისმშობლის სავანის მშენებლობა მახათას მთაზე არის კიდევ ერთი საშუალება ჩვენი ერის მიერ ღვთისაგან განშორების ცოდვის მონანიებისა. XX საუკუნეში ღვთის თაყვანისცემის შეჩერება საყოველთაო ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, უფალთან დაბრუნება საერთო სახალხო საქმეა. სწორედ ამიტომ უწოდა მისმა უწმინდესობამ ამ ტაძარს ქართველი ერის მეორე ავტოპორტრეტი. ეს მშენებლობა კიდევ უფრო მეტად დაგვაახლოვებს ჩვენს ზეციურ მფარველთან და განგვამტკიცებს ღვთისაკენ მიმავალ გზაზე, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ტაძრის მშენებლობა 2012 წლის 17 აპრილს, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღეს დაიწყო, მეორე ეტაპი 7 მაისს ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღეს განახლდა, მშენებლობის დასრულების ვადა კი მხოლოდ ჩვენს კეთილ ნებასა და ჩვენ მიერ გაღებულ შემოწირულობაზეა დამოკიდებული.

როგორც ცნობილი გახდა, 10-11 მაისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხობს ესტუმრება, სადაც სოფელ პირველ მაისში ახლადაშენებულ ყოვლადწმინდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმიდისა დიდმოწამე გიორგისა და წმიდისა მღვდელმთავრისა და საკვირველმოქმედის ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსსა და საპატრიარქო რეზიდენციას მოინახულებს. ილია მეორე მონაწილეობას მიიღებს კომპლექსში შემავალი წმიდა ცოტნე აღმსარებლის სახელობის სულიერ-საგანმანათლებლო ცენტრის პრეზენტაციაში.

სოფელ პირველ მაისში, ბათუს მთაზე, საეკლესიო კომპლექსის ქტიტორი ხობის საპატიო მოქალაქე, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ხობის რაიონიდან გოდერძი ბუკიაა, საეკლესიო კომპლექსის პროექტის ავტორი კი ხუროთმოძღვარი რევაზ ჯანაშიაა.

# ანსამბლმა „ჩვენებურებმა“ ევროპა აღაფრთოვანა

ანსამბლმა „ჩვენებურები“ საკონცერტო ტურნე მიუნხენსა და ვარშავაში დაგეგმა. როგორც ანსამბლის პიარ მენეჯერი მარი ონიზაივლი აღნიშნავს, ანსამბლის გასტროლმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

– ანსამბლ ჩვენებურებით აღფრთოვანებულმა ევროპელებმა განმეორებითი კონცერტების დაგეგმვა მოითხოვეს. მიუნხენსა და ვარშავაში ანშლაგით გამართული კონცერტების შემდეგ, ევროპაში ანსამბლ „ჩვენებურების“ ტურნე ისევ გრძელდება. ტურნეს ფარგლებში ახალი კონცერტები ნიურნბერგში, ბავარიის ალპებში რეგენსბურგში, ვროცლავში, რიგაში, ტალინში, ჰელსინკში, ციურიხში, ჰააგასა და ბრატისლავაში დაიგეგმა. ქართული სიმღერითა და „ჩვენებურების“ შესრულებით აღფრთოვანებულმა ევროპელებმა შემოდგომაზე ანსამბლის განმეორებითი ტურნეს დანიშვნა მოითხოვეს, – აცხადებს მარი ონეზაშვილი.

ანსამბლის წევრის გიორგი სახოკიას ცნობით, ვარშავის კონცერტზე „ჩვენებურებმა“ რამდენიმე კომპოზიცია ადგილობრივ აფრო-პოლონელ მომღერალთან ერთად შეასრულეს და ეს კონცერტი იყო პირველი ეტაპი ახალი მუსიკალური პროექტისა, რომელიც საერთო კომპოზიციების ჩაწერას და ფესტივალების „ტრანსკავკაზია“ და „არტ-გენის“ ფარგლებში კონცერტების გამართვას ითვალისწინებს.

მისივე თქმით, ევროპული ტურნეს დასრულების შემდეგ ახალი ალბომის ჩაწერას გეგმავენ, რომელიც „ჩვენებურებისა“ და მისი უცხოელი მუსიკოსი მეგობრების საერთო კომპოზიციების სრულად ჩაწერას ითვალისწინებს.

ეკა ირემაშვილი

# უნივერსიტეტები სამოქალაქო კოდექსში შესატან ცვლილებებს ეწინააღმდეგებიან

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგ გამოდიან.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ დავითაშვილმა გუშინ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფერენცია გამართეს და სთხოვეს პრეზიდენტს ვეტო დაადოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც უმაღლესი სასწავლებლები კერძო სამართლის იურიდიული პირებიდან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად გარდაიქმნებიან.

მათი განმარტებით, ამ ცვლილებით უმაღლესი სასწავლებლები ხელისუფლების დაქვემდებარების ქვეშ გადადიან, რის გამოც უქმდება აკადემიური თავისუფლება.

ისინი ფიქრობენ, რომ ამ ცვლილებით საფრთხე შეექმნება უნივერსიტეტების თვითმმართველობას, ასევე კერძო და ინტელექტუალურ საკუთრებას.

„ეს შესწორება კიდევ ბევრ რაღაცას გამოიწვევს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ შესწორებით უნივესიტეტის ავტონომია იზღუდება, არის ჩვენი წუხილის საფუძველი. ვთვლით, რომ იმას რაც იყო მიღწეული, ამ ცვლილებით ყველაფერს ზიანი ადგება. ყველამ იცის, რომ ავტონომია და თვითმმართველობა არის აკადემიური თავისუფლების საფუძველი. ამიტომაც მივმართავთ პრეზიდენტს თხოვნით, რომ დაადოს ვეტო ამ შესწორებას“, – განაცხადა გიგი თევზაძემ.

მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერენ ილია სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები, ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის სტატუსის შეცვლის პროცესი არ უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს თანხმობის გარეშე.

განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებული სამოქალაქო კოდექსში შესატანი ცვლილებები პარლამენტმა სამი მოსმენით უკვე განიხილა, თუმცა კანონი ძალაში ჯერ არ შესულა. ის ხელმოსაწერად პრეზიდენტთან არის გადაგზავნილი.

მედიანიუსი

მილოცვა
ნუცა სვანიძეს
100 წლის დაბადების
დღეს ვულოცავთ
შვილი, შვილიშვილები,
შვილთაშვილები და
შვილთაშვილიშვილები,
ვუსურვებთ ჯანმრთელობას და მშვიდობიან
ცხოვრებას.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ღუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 2. ულელტეხილი საქართველოში; 3. საშემოდგომო ხორბლის ქართული ჯიში; 5. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 6. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ფრანგი კინოვარსკვლავი ჟან რენოს ნამდვილი გვარი; 11. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ვირის ნაშიერი; 14. საათის მექანიზმი; 15. ხმადაბლა სიცილი; 19. მდინარე კახეთში.

**თარაზულად:** 1. ფერთა სიუხვე არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი იერუსალიმის მახლობლად; 7. მსხვერპლად შეწირული რამ; 9. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 12. დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი; 16. კინოცენტრი ინდოეთში; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში, სტანდარტი; 18. ქართველი ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 20. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. იტალიური ორცხობილა; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში.

შეადგინა: თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**; 1. პროფანი; 2. კატალოგი; 3. ვიტესი; 4. სუფსა; 5. პარფორსი; 8. გენოციდი; 12. დაბა 13. ეკოლოგია; 14. სვინგი; 16. ბაგიათი; 18. ზურნა; 20. გემა.

**თარაზულად**; 6. პრელუდია; 7. უტინოურა; 8. გელათი; 9. სარკე; 10. კომბაინი; 11. უორდროპი; 15. აკრედიტივი; 17. საჰარა; 19. განგსტერი; 21. აგუძერა; 22. სატურაცია; 23. ყარსალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**; 1. ბუფონი; 2. სერალი; 3. გუაში; 5. ლაჟი; 6. ჩინური; 8. სკლერა; 11. ფერეიდანი; 13. პორთოსი; 14. კოკაინი; 15. გიენოსი; 19. სურო.

**თარაზულად**: 1. ბუნდესტაგი; 4. აპალაჩი; 7. ფლაიერი; 9. შეიკერი; 10. ეფელი; 12. სტეტსონი; 16. კარლსონი; 17. ერლიფტი; 18. კალვადოსი; 20. ნეპტუნი; 21. ზილი; 22. გორდონსი.

# ბარაკ ობამა: „ჩრდილოეთ კორეამ კვლავ მარცხი განიცადა“

სამხრეთ კორეისა და ამერიკის პრეზიდენტებმა განაცხადეს, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული აგრესია მხოლოდ რეგიონის იზოლაციას უწყობს ხელს და პირობა დადეს, რომ ყველაფერს იღონებენ, რათა შემდგომი პროვოკაციები თავიდან აიცილონ.

„თუ ჩრდილოეთ კორეა ფიქრობს, რომ მისი ბოლო მუქარებით ამერიკასა და სამხრეთ კორეას შორის ურთიერთობას გაფუჭებს ან ამ ქვეყნას საერთაშორისო ავტორიტეტს მოუპოვებს, დღეს ნათლად გამოჩნდა რომ ჩრდილოეთ კორეა კვლავ დამარცხდა. ამერიკა და სამხრეთ კორეა ისე არიან გაერთიანებულნი, როგორც არასდროს. ჩრდილოეთ კორეა კი, ყველაზე მეტად არის იზოლირებული“, — განაცხადა ბარაკ ობამამ.



სამხრეთ კორეის პრეზიდენტი პარკ ჟინ ჰე ამერიკაში ვიზიტით იმყოფება, სადაც უკვე შეხვდა ბარაკ ობამას და ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრ ჩაკ ჰეიგელის განცხადებით კი, შეერთებული შტატები მზადაა, სამხრეთ კორეასთან კავშირის ფარგლებში, ჩრდილოეთ კორეის ნებისმიერ პროვოკაციას უპასუხოს. ამის შესახებ პენტაგონის წარმომადგენელმა ჯორჯ ლიტლმა განაცხადა.

„მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა დაადასტურა, რომ თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს ფხიზლად ყოფნას ჩრდილოეთ კორეიდან სამომავლო პროვოკაციებთან დაკავშირებით და დაადასტურა ასევე, რომ საშუალებათა მთელი სპექტრი მზადყოფნაშია ნებისმიერი წინასწარგანუსაზღვრელი მდგომარეობისთვის“, — განაცხადა ლიტლმა, ჩაკ ჰეიგელისა და სამხრეთ კორეის პრეზიდენტ პაკ კინ ჰეს შეხვედრის დასრულების შემდეგ.

*მოამზადა გვრა მამულაშვილმა*

# სირიელმა ამბოხებულებმა ასადის არმიის გამანადგურებელი ჩამოაგდეს

სირიელმა ამბოხებულებმა ბაშარ ასადის არმიის გამანადგურებელი ჩამოაგდეს. ინციდენტი პროვინცია ალეპოს მიდამოებში მოხდა. ინფორმაციას ამის შესაბ სირიაში ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი ავრცელებს, რომელიც ლონდონშია ბაზირებული.



„ოპოზიციის მებრძოლებმა გამანადგურებლის ჩამოგდება შეძლეს, რომელიც რაიონს ცხრილავდა. ინციდენტი მინიხის აეროდრომის ახლოს მოხდა. პილოტის ბედი გაურკვეველია“, — იუწყება ცენტრი.

აღსანიშნავია, რომ მინიხის აეროდრომისათვის ოპოზიციასა და სამთავრობო ჯარებს შორის დაპირისპირება უკვე ორი თვეა მიმდინარეობს. უფლებების დამცველები ასევე აცხადებენ, რომ ბრძოლები მიმდინარეობს ასევე ალეპოს აეროდრომთან და სამხედრო-საჰაერო ბაზასთან ნაირაბთან ახლოს.

თავის მხრივ, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ბოლო პერიოდში სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მკაცრი კრიტიკით არის ცნობილი, სამშაბათს ისრაელის მიერ სირიაზე განხორციელებულ საჰაერო იერიშს მიუღებელი უწოდა.

რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა აღნიშნულის შესახებ განცხადება ანკარაში „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიასთან შეხვედრაზე გააკეთა. „ისრაელის მიერ დამასკოზე განხორციელებული საჰაერო იერიში მიუღებელია. ამ ოპერაციის გამართლების მიზეზი არ არსებობს“, — აღნიშნა პრემიერმა.

გაეროს წარმომადგენლის თქმით, სირიაში გოლანის მაღლობთან ახლოს შეიარაღებულმა ჯგუფმა გაეროს ოთხი სამშვიდობო აიყვანა. ამ დროისათვის მათ გათავისუფლებაზე მუშაობენ.

ამ ფონზე, ამერიკა და რუსეთი აპირებენ სირიის კრიზისთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენცია ჩაატარონ. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ლავროვის თქმით, ვაშინგტონი და მოსკოვი შეთანხმდნენ რომ სისხლისღვრის შეჩერებისაკენ როგორც სირიის მთავრობას, ასევე ამბოხებულებსაც უნდა მოუწოდონ.

კერის განცხადებით, კონფერენცია უახლოეს დროში ჩატარდება, შესაძლოა ეს მაისის ბოლოსაც მოხდეს. შეგახსენებთ, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანი რუსეთში გუშინ ორდღიანი ვიზიტით ჩავიდა. გუშინ კერი ვლადიმერ პუტინსა და სერგეი ლავროვს შეხვდა. დღეს ამერიკის ელჩის რეზიდენციაში დაგეგმილია „სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან“ შეხვედრა.

პუტინთან შეხვედრა დაგეგმილზე სამი საათით დაგვიანებით დაიწყო. კერიმ შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტს ბოსტონის აფეთქების გამოძიებაში რუსული სპეცსამსახურების დახმარების გამო მადლობა გადაუხადა.

# „ლევადა-ცენტრი“ უცხო ქვეყნის აგენტად აღიარეს

რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ გაარკვია, რომ იური ლევადას ანალიტიკურმა ცენტრმა გასული წლის ბოლოდან საზღვარგარეთიდან 3, 9 მილიონი რუსული რუბლი მიიღო.

პროკურატურის მონაცემებით, რომელიც „ლევადა-ცენტრში“ შემოწმებას ატარებდა დადგენილია, რომ ამ არაკომერციული ორგანიზაციის ანგარიშზე ამერიკული „ღია საზოგადოებიდან“ ასევე ორგანიზაციებიდან რომლებიც იტალიაში, დიდი ბრიტანეთში, პოლონეთსა და კორეაში მდებარეობს 3,9 მილიონი რუბლი გადმოირიცხა. ინფორმაციას ამის შესახებ „იზვესტია“ უწყებაში არსებულ თავის წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.

„ლევადა ცენტრის“ დირექტორი ლევ გუდკოვი აცხადებს, რომ ორგანიზაციას გენპროკურატურიდან არავითარი დოკუმენტები არ მიუღია, რომლებშიც შემოწმების შედეგები იქნებოდა ასახული. თუმცა, ის ადასტურებს, რომ ორგანიზაცია იღებს სხვა და სხვა უცხოურ გრანტებს მრავალი საერთაშორისო პროექტიდან და ამას არც მალავს.

ლევ გუდკოვი აცხადებს, რომ ორგანიზაცია არ პირებს „უცხოეთის აგენტად“ დარეგისტრირებას.

ამ ფონზე, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი, რომელიც რუსეთში ორდღიანი ვიზიტით იმყოფება, მოსკოვში რუს უფლებამდაცველებს შეხვდა, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების ირგვლივ შექმნილი ვითარება განიხილეს.

„ეს ტრადიციული შეხვედრა იყო. კიდევ კარგი ამერიკელები საკუთარ ტრადიციებს არ იცვლიან“, — განუცხადა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს უფლებადამცველმა ლევ პანომაროვმა.

მისი თქმით, შეხევდრაზე ამერიკის მხარისაგან ტრადიციულად პირდაპირი ხასიათის ფორმულირებები ისმოდა: „ჩვენ თქვენ თანაგიგრძნობთ“, „ყოჩაღები ხართ“, „ჩვენ თქვენ არ მიგატოვებთ“.

მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელის ლიუდმილა ალექსეევას თქმით, შეხვედრაზე ძირითადად რუსული არასამთავრობოების შესახებ იმსჯელეს.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში რუსეთში მიღებული კანონის თანახმად, რუსეთში მოქმედი ყველა არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა და რომელიც დაფინანსებას საზღვარგარეთიდან იღებს ვალდებულია რუსეთის იუსტიციის სამინისტროში უცხო ქვეყნის აგენტად დარეგისტრირდეს.

მიმდინარე წლის მარტში რუსეთს არაკომერციული ორგანიზაციების შემოწმებები დაიწყო. პროკურატურამ გადაწყვიტა გაარკვიოს თუ როგორ სრულდება ეს კანონი.

# აშშ-ს მე-11 შტატმა ერთსქესიანი ქორწინებები დააკანონა



დელავერი აშშ-ს მეთერთმეტე შტატი გახდა, რომელმაც ერთსქესიანი ქორწინებები დააკანონა. გუბენატორ-დემოკრატმა ჯეკ მარკელმა კანონს ხელი მას შემდეგ მოაწერა, რაც იგი შტატის სენატმა მოიწონა.

დებატები სენატში ამ საკითხთან დაკავშირებით დაახლოებით სამ საათს გრძელდებოდა. ჯამში დოკუმენტს მხარი 12 სენატორმა დაუჭირა, წინააღმდეგ კი 9 წავიდა.

კანონი მოქმედებას 1 ივლისიდან დაიწყებს. სამოქალაქო კავშირები, რომლებიც აქამდე დელავერის ტერიტორიაზე ფორმდებოდა ამიერიდან უკვე ოფიციალურ ქორწინებებად დარეგისტრირდება.

ერთქესიანი ქორწინებები დელავერის გარდა აშშ-ს ათ შტატშია დაკანონებული.

შეგახსენებთ, რომ ურუგვაი გახდა მეორე ქვეყანა არგენტინის შემდეგ, სადაც დაკანონდა ერთსქესიანი ქორწინება. მონტევიდეოში სენატმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზებას ახდენს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

სენატორთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ — 23-მა 31-დან მხარი დაუჭირა კანონპროექტს. ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაცია მიიჩნევა მოქალაქეთა პირადი ცხოვრების დემოკრატიზაციის მომდევნო ნაბიჯად შარშან აბორტების ლეგალიზაციის შემდეგ; უფრო ადრე ურუგვაის ხელისუფლება გამოდიოდა მარიხუანის ლეგალიზაციის მოთხოვნითაც.

საგულისხმოა, რომ კანონპროექტი მიღებული იქნა კათოლიკეთა ვნების კვირეულის ბოლოს, მას შემდეგ, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ეპისკოპოსები აქტიურად მოუწოდებდნენ კანონმდებლებს უარი ეთქვათ გეი-ქორწილების ლეგალიზაციის იდეაზე. სააღდგომო ქადაგებისას, მონტევიდეოს არქიეპისკოპოსმა ნიკოლას კოტუნიომ პირადად სთხოვა სენატორებს ხმა მიეცათ ამ კანონპროექტის წინააღმდეგ, „რომელიც ანგრევს ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ სიკეთეს, როგორიც არის ოჯახი“.

# სამგლოვიარო განცხადებები

უახლოესი მეგობრები ნათელა ყიფიანი, ლია ნონიკაშვილი, ჯაბა კუბლაშვილი, თემურ ფაცურია, დათო გურგენიძე, არჩილ ჯაფარიძე, გელა ქვლივიძე, მერაბ კეკელიძე, ჯემალ გიორგაძე, ანზორ საკანდელიძე, ილო ლეჟავა, ვალერი ლორთქიფანიძე, ჯუმბერ გაბუჩია, ნოდარ ბერიშვილი, ჯემალ ჭიღლაძე, რეზო ახვლედიანი, ნანა ფრანჩუკი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მშენებელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

**რეზო ორაგველიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „საქკავშირმშენი“-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ თანამშრომელს, ალიკა ჯანიაშვილს გარდაეცვალა დედა

**იზოლდა ჯანიაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თემურ და თენგიზ კუჭუხიძეები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ალიკა ჯანიაშვილს დედის

**იზოლდა ჯანიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ლენინის ორდენისა და სხვა სახელმწიფო ჯილდოების კავალერი

**ნელი გაიდამაკი—ჩუბინიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 9 მაისს 14 საათზე.

მისამართი: ქ. თბილისი, თემქის მე-11 მიკრორაიონი, მე-2 კვარტალი. ხანდაზმულთა პანსიონატი (არაშენდას წინ).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 9 მაისი**

6.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 ქართული მხ/ფილმი: „ჯვარცმული კუნძული„ (რეჟ: შ. მანაგაძე) 18.30 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ბორჯია„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „შერლოკ ჰოლმსი„ (ტიტ.) (ჯ.ლოუ)

8.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „მეხიკო„ 14.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 8 ნაწ. 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ I ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

7.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 7 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „დეჟა ვუ„ (ჯ.ქევიზელი)00.45 მხ/ფ „მარტოხელა გულები„ (ს.ჰაიეკი)02.30 მუსიკა

7.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო01.00 მხ/ფ03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

6.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „გელინო„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.15 ერთი წვეთი 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ „იერუსალიმი„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მე, ბებია ილიკო და ილარიონი„ 13.30 კონცერტი - ქართული ხმები 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ წმინდა მიწაზე„ IV ნაწ. 15.55 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.20 კონცერტი - „ისევ ის ბაღი„ შოთა მილორავა 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ღიმილის ბიჭები„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 დოკ/ფ „სტუმრად პატრიარქთან„ 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ/ფ „სიმებიანი კვარტეტი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „გადადექი ფაშა„

მაესტრო 7.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 1.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.00 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 მაისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6508 |
| ევრო | 2,1602 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5635 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2816 |

## ამინდის პროგნოზი 9 მაისისთვის





## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები




უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


# ცხრა ქართველი მასტერსზე



ახალი რეიტინგის მიხედვით 25-26 მაისს რუსეთის ქალაქ ტიუმენში გასამართ მასტერსზე 9 ქართველი ძიუდოისტი მოხვდა. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ინფორმაციით, მასტერსში მონაწილეობა შეუძლია საერთაშორისო რეიტინგის 16 საუკეთესო ძიუდოისტს, თუმცა, თუ რომელიმე მათგანი უარს იტყვის ასპარეზობაზე, მონაწილეობის უფლებას მიიღებს რეიტინგის მომდევნო პოზიციაზე მყოფი ძიუდოისტი. ასეთი უფლება შეიძლება მიიღონ საერთაშორისო რეიტინგში პირველ 25 ადგილზე მყოფმა ძიუდოისტებმა. 16 საუკეთესოს შორის მოხვდნენ:

60კგ: ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი; 66კგ: ლაშა შავდათუაშვილი; 73კგ: ზებედა რეხვიაშვილი; 81კგ: ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური; 90კგ: ვარლამ ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური; მძიმე: ადამ ოქრუაშვილი

ბოლო ინფორმაციით, შუკვანმა მასტერსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, თუმცა რუსეთში მაინც 9 ქართველი ძიუდოისტი გამოვა, რადგან მე-17 პოზიციაზე მყოფი ნუგზარ ტატალაშვილის (73კგ) მონაწილეობა თითქმის გადაწყვეტილია. ასევე არსებული ინფორმაციით, ოლიმპიური ჩემპიონი რუსი მანსურ ისაევი ტიუმენში არ იასპარეზებს.

საერთაშორისო ფედერაციის სარეზერვო სიაში აგრეთვე არიან: შალვა ქარდავა (66კგ, 24-ე), ირაკლი ცირეკიძე (100კგ, 24-ე) და ლევან ჟორჟოლიანი (100კგ, 25-ე).

მ. ჟ.

# მაკა ბურდული კანის კინოფესტივალზე მიიწვიეს



ქართველი რეჟისორი მაკა ბურდული კანის საერთაშორისო კინოფესტივალზეა მიწვეული. მისი ფილმი „ომი და სიყვარული“ სპეციალურ საფესტივალო პროგრამაში იღებს მონაწილეობას. მაკა ბურდულის ფილმმა გრანპრი მიიღო სატელევიზიო ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე და მოხვდა ყურადღების ცენტრში, რამაც საერთაშორისო დაინტერესება გამოიწვია და ფილმს რეჟისორთან ერთად სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე ეპატიჟებიან. როგორც რეჟისორი ამბობს, კანში წასასვლელ ფულს მას მეგობრები უგროვებენ, რადგან ეროვნული კინოცენტრისგან უარი მიიღო.

**მაკა ბურდული, რეჟისორი:**

– მას შემდეგ რაც ჩემმა ფილმმა გაიმარჯვა სხვადასხვა ფესტივალებზე, მიიღო მიწვევები და მომეცა შესაძლებლობა, ამერჩია, სად წავსულიყავი. მივიღე გადაწყვეტილება, წავსულიყავი კანის მოკლე ფილმების კინოფესტივალზე, სადაც ჩემი ფილმი „ომი და სიყვარული“ ნაჩვენები იქნება. სეჩუანში ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ეს ფესტივალი, ჯერჯერობით კიდევ ლაურეატი ვარ. ძალიან გამიხარდა, რომ დამპატიჟეს. შემიძლია ამ ფილმით ჩავიდე კანში, სადაც ცხოვრობს ჩემი ძმა და მეგობარი, რომელიც ამ პროექტზე მეხმარებოდა, ერთად ვსწავლობდით ვგიკში და შემპირდა, რომ დამეხმარება, რადგან არ ვიცი ფრანგული ენა. ის შვიდ ენას ფლობს თავისუფლად. დედა უკრაინელი ჰყავს და შესაბამისად იცის უკრაინული, ბებია ჰყავს რუსი და იცის რუსული, მამა საფრანგეთის მოქალაქეა და იცის ფრანგული, მაგრამ გერმანელი ჰყავს ბებია და იცის გერმანული. წელს 15-დან 24 მაისამდე იმართება კანის კინოფესტივალი. ძირითადი ფესტივალი ამ პერიოდში ტარდება. ეს არის რიგით 66-ე კინოფესტივალი, რომელსაც მთელი მსოფლიო უდიდესი ინტერესით ელოდება.

*– პირველად მონაწილეობთ კანის კინოფესტივალში?*

– არა. 2011 წელს ჩემი ფილმი „ორი მარია“ იყო წარდგენილი. როგორც ჩანს, მოწონთ რასაც ვაკეთებ, ადევნებენ თვალყურს, ჩემს გარეშეც მშვენივრად მპოულობენ და ამიტომაც მეპატიჟებიან. წელს უკვე მეოთხედ ჩავდივარ ამ ფესტივალზე.

*– თქვენს ფილმში „ომი და სიყვარული“ ვინ არიან დაკავებული?*

– გუჯა ბურდული, ინესა აბესაძე, აკაკი მაქაცარია, გიორგი ობოლაძე და მაკა ვასაძე. ირაკლი ლომსაძემ დაამონტაჟა ეს ფილმი და აქვს ლომის წვლილი მის შექმნაში. ჩემი ჯგუფელია, უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით სარეჟისოროზე. უნიჭიერესი ადამიანია და ჩემთან ერთად მუშაობს ახლაც.

*– ახლა რაზე მუშაობთ?*

– ახლა ვაკეთებ ფილმს ავტობუსის კონტროლიორებზე, რომლებსაც „ყვითელი იადონები“ შევარქვი. რომ დამინახავენ, ანგელოზებივით იქცევიან. მარტო არ ვარ ამ ფილმის გაკეთებაში, მეხმარებიან ახლობლებიც. ყველა ამბობს, რომ ავტობუსის კონტროლიორები საშინლად იქცევიან და დამსჯელი რაზმებივით არიან. ეს ყველაფერი ადამიანის ფსიქოლოგიაზე ძალიან ცუდად მოქმედებს, რომ ერთ ავტობუსში შეიძლება შვიდჯერ-რვაჯერ ამოვიდნენ, ყველა ჩხუბობს და სულ ხედავ, რომ კონტროლის ქვეშ ხარ, ეს ადამიანის უფლებების დარღვევაა.

*– რატომ გადაწყვიტეთ ავტობუსის კონტროლიორებზე ფილმის გადაღება?*

– პირადად მქონდა მათთან შეხება და ამიტომ. ისე იქცევიან, როგორც ფაშისტები ექცეოდნენ მტრებს. ეს 37 წელზე უარესია, ხედავ, რომ იჭერენ უბილეთოებს, ჩაათრევენ, ანადგურებენ. ეს სპეციალურად არის მოგონილი, რომ სულ შიშში ვიყოთ. ძალიან რთულია ამ ყველაფრის ატანა ხალხისთვის, აღარ იციან რაზე იფიქრონ, სახლში საჭმელი როგორ მიიტანონ თუ უბილეთობის გამო როგორ ჩაიყვანენ ავტობუსიდან და როგორ გამოუწერენ ჯარიმას. მივმართავ ყველას, ვისაც აქვს თუნდაც ვიდეო გადაღებული მათ უმსგავსო საქციელზე ან შეემთხვა მსგავსი ისტორია, დამიკავშირდნენ და მათ ამბებს ჩემს ფილმში აუცილებლად გამოვიყენებ.

ეკა ირემაშვილი


ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 9 მაისისთვის

წარმატებული დღეა

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ტყუპები** – მთლიანობაში წარმატებული დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, თავს გამოიჩენთ. **ქალწული** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაა დანიშნული. **სასწორი** – ახალი საქმე მოგწონთ, თუმცა არც ძველს ივიწყებთ. **მშვილდოსანი** – საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, არ იზარმაცოთ. **მშვილდოსანი** – საღამო მშვენიერი იქნება, დასაჩუქრდებით. **თხის რქა** – ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, არ გადაიღალოთ. **მერწყული** – საქმე არ გადადოთ, არ შეიძლება. **თევზები** – ყურადღების ცენტრში ხართ და ეს გსიამოვნებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


## კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული გრძელთმიანი მაიმუნი; 3. სვან მამაკაცთა ცეკვა; 4. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 8. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 12. ცხვრის ქონიანი კუდი; 13. რომაელი ორატორი, სახელმწიფო მოღვაწე; 14. მთიანეთი აზიაში; 16. წმინდა ოქრო; 18. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 20. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

თარაზულად: 6. წითელი ფერის ტკბილი იტალიური სადესერტო ღვინო; 7. აშშ-ში გავრცელებული ფართო ფარფლებიანი შლაპა; 8. გარდაუვალი ბედისწერა; 9. მე-19 საუკუნის ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე, კომპოზიტორი; 10. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 11. პურის ორ თხელ ნაჭერს შორის მოქცეული ძეხვის, ყველის, ბოსტნეულის საუზმეული; 15. სისხლის წნევის აწევა; 17. კუბის დედაქალაქი; 19. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 21. ამერიკის აღმომჩენი; 22. მეცნიერება უჯრედების აგებულების, განვითარების და ფუნქციების შესახებ. 23. მე-17 საუკუნის ესპანელი მწერალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობის მეორე ეტაპი დაიწყო

ეკა ირემაშვილი



მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის მეორე ეტაპი დაიწყო. მახათას მთაზე უამრავი ადამიანი მივიდა, რომლებსაც მერიის ყვითელი ავტობუსები უფასოდ მოემსახურა. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულზე, მახათას მთაზე დაგეგმილ ღონისძიებაზე მსურველთა დასწრებისა და მონაწილეობის მიღების მიზნით, მუნიციპალური ავტობუსები მეტროსადგურ „ვარკეთილი“-დან, ვარდების რევოლუციის მოედნიდან და რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან გადიოდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მახათას მთაზე, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ტერიტორიაზე ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი შეასრულა.

ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები. მახათას მთაზე ავიდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, მეუღლესთან თინა ხიდაშელთან ერთად, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლევან დოლიძე, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპასთან და ევროატლანტიკურ საკითხებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი.

– ეს მნიშვნელოვანი დღეა და სრულიად საქართველოს ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული ვულოცავ. ამ ტაძრის მშენებლობის დასრულებაში საქართველოს თითოეული მოქალაქის წვლილი თანაბარი იქნება და ეს იქნება ტაძარი, რომელიც ქართველმა ხალხმა ერთსულოვნებით ააშენა, – განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უფალს საქართველოს მშვიდობა, კეთილდღეობა და გადარჩენა შესთხოვა:

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უფალს საქართველოს მშვიდობას, კეთილდღეობასა და გადარჩენას შესთხოვ. გილოცავთ ყველას და ვისურვებ, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა გადააფაროს თავისი კალთა საქართველოს. გილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს. დღევანდელი წვიმის სახით კი უფალმა ნაკურთხი წყალი გვასხურა ჩვენ და ამ წმინდა ადგილას შევთხოვთ უფალს საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, საქართველოს გადარჩენისათვის, – ბრძანა მისმა უწმინდესობამ.

მახათას მთაზე შეკრებილ მრევლს მცირე ანგარიში ჩააბარა ფონდ „ივერიისას“ ხელმძღვანელმა პაატა ბურჭულაძემ. მისი თქმით, მშენებლობა 26 თვეში დასრულდება და ეს შე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე